ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

cfvif,fsb7 & fudbcnj7 @)!@ — 1186 (5876) — afcb5 #) stshb

## თავდაცვის სამინისტრომ ახალი კონცეფცია შეიმუშავა

გვ. 4



# ალავერდში სააკაშვილი პატრიარქს შეეკამათა?



გვ. 3

რა მოხდა დახურულ შეხვედრაზე

## ვალერი გელაშვილი „ქართული ოცნების" მაჟორიტარი აღარ იქნება



გვ. 2



## ქდმ-ს ლიდერები ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ

გვ. 2

## ნაციონალური მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელი „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანდა

გვ. 2

## გოჩა ძასოხოვს აგვისტოს ომის გამეორების ეშინია





გვ. 5

კარასინი კი ოქტომბერში ომს არ ელოდება



გვ. 6

## სოსო შატბერაშვილი: „ლეიბორისტები" ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ფინანსურ მაქინაციებს" გამოიძიებენ



გვ. 7

## გამორიცხულია, „საქართველოს მოსახლეობის 73% ნატოს წინააღმდეგი იყოს"

რატომ არ სჯერა მოსახლეობას არჩევნების შედეგების



გვ. 6

## „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 7 და 8 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანიას შეწყვეტს



გვ. 5

## მანანა ნაჭყებია: „ახალ მემარჯვენეებს" მაჭავარიანის მითითებები არ სჭირდება

ISSN 1987-9385

2 სტუდენტური დასაქმების პროგრამა გრძელდება

3 ცესკომ ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა გამოაქვეყნა

4 გიორგი ლალიძე: „ოპოზიცია მაჟორიტარებთან დაკავშირებით უნდა შეთანხმდეს!"

6 „პოლიტიკური ჩისტკები" ყაზბეგში

კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# ვალერი გელაშვილი ქართული ოცნების" მაჟორიტარი აღარ იქნება

„ქართულ ოცნებაში" არ ფლობენ ინფორმაციას, ხაშურში მაჟორიტარობის კანდიდატის, ვალერი გელაშვილის შესაძლო შეცვლის შესახებ, – ამის შესახებ „ინტერპესნიუსს" კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია არც „რესპუბლიკურ პარტიას" აქვს.

ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ხაშურის და რამდენიმე მიმდებარე სოფლის მაცხოვრებლებმა ვალერი გელაშვილის კანდიდატურის შეცვლის მოთხოვნით ხელმოწერები შეაგროვეს და კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერებს გადასცეს.

ხელმოწერების შეგროვების ფაქტს ადასტურებენ კოალიციის ხაშურის ოფისში, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ გელაშვილის კანდიდატურის წინააღმდეგ პროტესტი შესაძლოა, ხელისუფლებიდან მოდიოდეს.

„ეს ინფორმაცია ჩვენთვისაც ცნობილი გახდა და საკმაოდ ცუდი ფაქტია. ან გარკვეული პირების კერძო ინტერესებს უკავშირდება ეს ყველაფერი, ან ხელისუფლებას, რომელსაც ნამდვილად არ აწყობს კოალიციაში სტაბილურობა", – აცხადებს „ქართული ოცნების" ხაშურის ორგანიზაციის შტაბის უფროსი ირინა სურამელი.



კოალიციის ხაშურელი წევრი, ნოდარ ივანიშვილი კი აცხადებს რომ გელაშვილის კანდიდატურის წინააღმდეგ ხაშურის ოფისის ყოფილი უფროსი მოქმედებს.

„ვალერი გელაშვილისნაირი კანდიდატურის შეცვლა შეუძლებელია. ამ ადამიანმა უამრავი რამ გააკეთა ამ რაიონისთვის და დარწმუნებული ვარ, ეს არ გახლავთ საზოგადოების პროტესტი. ამ ხელმოწერების შეგროვების უკან დგას გიორგი ცხადიაშვილი, რომელიც თავისი კერძო ინტერესებისთვის აკეთებს ამ ყველაფერს და ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. 50-მდე ადამიანმა სკოლის ბავშვივით დემონსტრაციულად დატოვა ოფისი, თუმცა თუ სურვილი ექნებათ, რომ ერთიანი ქართული საქმე აკეთონ, დაბრუნდნენ და ჩვენთან ერთად დადგნენ", -აცხადებს ნოდარ ივანიშვილი.

თავად ცხადიაშვილი კი აცხადებს, რომ პარტია არ დაუტოვებია. „ჩემი კანდიდატურა ნამდვილად განიხილებოდა თავიდან, მაგრამ შემდეგ არჩევანი გელაშვილზე გაკეთდა. არანაირი კერძო ინტერესები არ მამოძრავებს, ჩემთვის მთავარი საზოგადოების აზრია, ხოლო თუ იმ რამდენიმე ათასი ხელმოწერების მიხედვით ვიმსჯელებთ, ფაქტია, რომ ხაშურის საზოგადოება ვალერი გელაშვილის კანდიდატურის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი", – განაცხადა ცხადიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნაციონალური მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელი ქართულ ოცნებაში" გაწევრიანდა

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელმა ანზორ დუმბაძემ მმართველ პარტია დატოვა და „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანდა.

ამასთან დაკავშირებით მან გუშინ „ქართული ოცნების" ქობულეთის შტაბში საგანგებო ბრიფინგი გამართა.

აღნიშნული ინფორმაცია „მედიანიუსს" ბრიფინგზე მყოფმა სოზარ სუბარმაც დაუდასტურა.

ბრიფინგს „ქართული ოცნების" ქობულეთის მაჟორიტარობის კანდიდატი ფატი ხალვაში, შტაბის უფროსი ანზორ თხილაიშვილი, სოზარ სუბარი და გუგული მაღრაძე ესწრებოდნენ.

**მედიანიუსი**

# ბათუმში საარჩევნო პლაკატების განთავსების წესი განისაზღვრა

ბათუმში ბაქოს, ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქუჩების საზღვრებში მოქცეულ უბნებში, ასევე ძველი და ახალი ბულვარის ტერიტორიაზე პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნო პლაკატების გაკვრა ეკრძალებათ. ბათუმის საკრებულომ საარჩევნო პლაკატების განთავსების წესი გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცა.

საკრებულოს განკარგულებაში ნათქვამია, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე დაიდგმება სტენდები, სადაც ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას საარჩევნო პლაკატების უფასოდ განთავსების საშუალება მიეცემა. გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული იმ ადგილებშიც, სადაც საარჩევნო პლაკატების დადგმაა ნებადართული. აქ პოლიტიკურ სუბიექტებს უფლება არ აქვთ საარჩევნო პლაკატები კულტურული მნიშვნელობის ობიექტებზე, ადმინისტრაციულ შენობებსა და საგზაო ნიშნებზე განათავსონ.

აღნიშნულ დადგენილებას მხარი დღეს საკრებულოს ყველა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

**მედიანიუსი**

# ქდმ-ს ლიდერები ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ



„ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერები გუშინ ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

როგორც ქდმ-ს ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრის სურვილი ჩინეთიის მმართველმა პარტიამ გამოთქვა.

„ეს არის წამყვანი პოლიტიკური ძალა ამ უზარმაზარ სახელწიფოში. ჩვენ მადლიერი ვართ ჩინეთის, როგორც სახელმწიფოსი, რომელიც არის გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი და მკაცრად იცავს საზღვრების ურღვევობისა და მათ შორის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს. ამასთან, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის პოტენციალი, რომელიც არსებობს ეკონომიკური ურთიერთობების თავლსაზრისით", – განაცხადა თარგამაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სტუდენტური დასაქმების პროგრამა გრძელდება

სტუდენტური დასაქმების პროექტის „ შუმმერ ჟობ"-ის ფარგლებში, თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში 10 000-მდე სტუდენტი დასაქმდა. ერთი თვის განმავლობაში, სტუდენტები კვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად, სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებენ და ყველა იმ პროექტში არიან ჩართული, რომელსაც თბილისი მერია ახორციელებს. ერთ-ერთი სფერო, სადაც სტუდენტები დასაქმდნენ ქალაქის გამწვანებაზე ზრუნვაა. ეკოკოლოგიისა და გამწვანების სამსახურში 600-მდე სტუდენტი დასაქმდა. ისინი მერიის დაქვემდებარებულ პარკებსა და სკვერებში ხეებისა და ბუჩქების ფორმირებაში, თვითამონაყარი მცენარეების გაწმენდით და დასუფთავებით სამუშაოებში მონაწილეობენ, – აცნობეს „მედიანიუსს" დედაქალაქის მერიიდან.

თბილისის მერი გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულ ბაღში დასაქმებულ სტუდენტებს გაესაუბრა. სტუდენტური დასაქმების პროექტ:" სომმერ ჯობ"-ის განხორციელებაში თბილისის მერია აქტიურად მონაწილეობს. პროექტის ფარგლებში, მერიის საქალაქო სამსახურებში და სხვადასხვა მუნიციპალურ სტრუქტურულ ერთეულში 10 000-მდე სტუდენტი დასაქმდა. თითოეული მათგანი ქალაქის კეთილმოწყობაზე, დასუფთავებასა გამწვანებაზე პირადად ზრუნავს.

სტუდენტური დასაქმების პროექტი სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების მიღებას ისახავს მიზნად. სტუდენტები ერთი თვის განმავლობაში, ხელფასის სახით 500 ლარს მიიღებენ და გამომუშავებულ თანხას საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენებენ. მსგავსი სახის პროექტები ყოველწლიურად ხორციელდება და ახალგაზრდებში საკუთარი შრომის პოპულარიზაციას ემსაურება.

**მედიანიუსი**

# ევროკავშირი სტიქიით დაზარალებულებს 118,590 ევროს დახმარებას გამოყოფს

კახეთში, სამცხე ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში მცხოვრები სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის ევროკავშირი 118,590 ევროს დახმარებას გამოყოფს.

როგორც „მედიანიუსს" ევროკავშირის წარმომადგენლობიდან აცნობეს, ეს დახმარება გაიცემა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მეშვეობით, რომელიც, თავის მხრივ, წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციების კომიტეტის ბუნებრივი კატასტროფების დახმარების საგანგებო ფონდის (DღEF) დაფინანსებით მოქმედებს. ამ დაფინანსების საშუალებით დაზარალებულებს დაურიგდებათ ლეიბები, საბნები, საკვების დასამზადებელი და ჰიგიენის საშუალებები და ცელოფანის/ბრეზენტის საფარი.

ევროკომისიასა და წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციების კომიტეტს (IFღჩ) შორის ხელმოწერილია ˆ 3 ევროს ოდენობის ჰუმანიტარული დახმარების შესახებ შეთანხმება, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების დახმარების საგანგებო ფონდში (DღEF) თანხის ჩარიცხვას ითვალისწინებს. ეს ფონდი, ძირითადად, ემსახურება მცირემასშტაბიანი კატასროფების შედეგების დაძლევას და არ საჭიროებს ოფიციალური საერთაშორისო განაცხადების შემოტანას.



ბუნებრივი კატასტროფების დახმარების საგანგებო ფონდი (DღEF) 1985 წელს შეიქმნა და დონორთა შემოწირულობების ხარჯზე ფუნქციონირებს. ყოველ ჯერზე, როდესაც წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციას ბუნებრივი კატასტროფის შედეგების აღმოფხრისთვის საგანგებო ფინანსური დახმარება ესაჭიროება, მას თანხების ამ ფონდიდან მოთხოვნა შეუძლია.

ცნობისთვის: 19 ივლისს სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონი ძლიერმა ქარიშხალმა, წვიმამ და სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზარალა. 20 000-ზე მეტი ოჯახმა დიდი დანაკარი განიცადა; მათ სახლ-კარი და მოსავალი გაუნადგურდათ. დაინგრა გზები, მწყობრიდან გამოვიდა კომუნიკაციები და წყლის სისტემა. დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო ნაკვეთები, დაიღუპა საქონელი და განადგურდა მოსავალი.

**მედიანიუსი**

# საქართველოს ელჩმა კოსტა-რიკის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადასცა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მექსიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მალხაზ მიქელაძე კოსტა-რიკას რესპუბლიკას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში 1 აგვისტოს, ელჩმა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა კოსტა-რიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, ხოსე ენრიკე კასტიო ბარანტესს, ხოლო 3 აგვისტოს რწმუნებათა სიგელების ორიგინალები გადაეცა ქვეყნის პრეზიდენტს, ლაურა ჩინჩილა მირანდას.

საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე ეკონომიკის, კულტურისა და გარემოს დაცვის სფეროებში, გამოიხატა საქართველოსა და კოსტა-რიკის რესპუბლიკას შორის პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდის გამართვის ინტერესი.

3 აგვისტოს, რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიის ფარგლებში კოსტა-რიკის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ლაურა ჩინჩილა მირანდასთან შეხვედრაზე მიმოიხილეს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში, ასევე ცენტრალური ამერიკის უსაფრთხოების რეგიონალური სისტემის ფარგლებში, ორ ქვეყანას შორის მოქალაქეთა მიმოსვლის გამარტივების შესაძლებლობები. აღინიშნა რა ორმხრივი ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა, მიღწეულ იქნა შეთანხმება პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების თაობაზე როგორც ორმხრივ დონეზე, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ელჩმა მადლიერება გამოხატა კოსტა-რიკის ურყევი პოზიციის გამო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის კუთხით, – იუწყება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**მედიანიუსი**

# ვლადიკავკაზში ბაზრებიდან და საბავშვო ბაღებიდან ევაკუაცია ხორციელდება

ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ტერაქტების მუქარის გამო ვლადიკავკაზის ბაზრები და საბავშვო ბაღები უკვე მესამეჯერ დაიკეტა და მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა.

ვლადიკავკაზში, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ პოლიციის თანამშრომელს, რომელიც ინგუშეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ესემეს შეტყობინება მიუვიდა, რომელიც ბაზარში ან საბავშვო ბაღში შესაძლო ტერაქტის განხორციელების შესახებ აფრთხილებდა.

ამის გამო ბაზრებიდან და საბავშვო ბაღებიდან ადამიანების ევაკუაცია განხორციელდა და იქ კინოლოგები მუშაობენ.

ჩრდ. ოსეთის შინაგან საქმეთა სმაინისტროს პრესსამსახურის უფროსის ალა ახპოლოვას განცხადებით, სპეცსამსახურებს ორიენტაცია ინგუშეთის ორ მოქალაქეზე აქვთ აღებული, რომლებიც შესაძლოა ტერაქტს ამზადებდნენ. მათზე ძებნაა გამოცხადებული.

უწყების ინფორმაციით, ეჭვმიტანილთა რიცხვშია, ჩრდილო ოსეთში მცხოვრები მიხაელ ოზდოევი, რომელიც ადრე იარაღის უკანონო ტარებისთვის იყო გასამართლებული, ამჟამდ კი ფედერალურ ძებნაში იმყოფება, ასევე იძებნება 1988 წელს დაბადებული თემურ ორცხანოვი.

ვლადიკავკაზის შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობას უსაფრთხოების წესების დაცვისკენ მოუწოდებს.

„საეჭვო ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, არანაირი ზომა თავად არ მიიღოთ და სასწრაფოდ პოლიციის წარმომადგენლებს მიმართეთ. თუკი თქვენთვის რაიმე ცნობილია ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელის შესახებ, გთხოვთ, სასწრაფოდ მიმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს" - აღნიშნულია შინაგან სამქეთა სამინისტროს განცხადებაში.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ალავერდში სააკაშვილი პატრიარქს შეეკამათა?

## რა მოხდა დახურულ შეხვედრაზე

თეა მარხვაიძე

**ივლისის თვეში კახეთს სტიქია დაატყდა თავს. დასეტყვილი კახეთის მოსანახულებლად სახელმწიფოს პირველი პირები და ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთის მიყოლებით ჩავიდნენ. კახეთში ჩაბრძანდა საქართველოს პატრიარქი ილია II.**

პატრიარქი ალავერდის მონასტერში საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. იმავე პერიოდში კახეთს სტუმრობდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილიც. ალავერდის მონასტერი მანაც მოილოცა.

ამ ფაქტს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ხალხს საეჭვოდ მოეჩვენა, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი თითქმის ერთდროულად მივიდნენ ალავერდის მონასტერში.





ცოტა ხანში ლეიბორისტებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც განაცხადეს, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი ალავერდში ერთმანეთს შეხვდნენ. მშრომელთა პარტიის მტკიცებით, იმ შეხვედრაზე პრეზიდენტმა და ივანიშვილმა ფარულ შეთანხმებასაც მიაღწიეს.

ალავერდში პრეზიდენტის და მეოცნებეთა ლიდერის ფარული შეხვედრის შესახებ განცხადებები სხვებმაც გააკეთეს. ვიღაცებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრეზიდენტს პატრიარქთან ცოტა უსიამოვნო საუბარი ჰქონდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალავერდში გამართული დახურული შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კათოლიკოს-პატრიარქს დაუპირისპირდა.

— პრეზიდენტმა უწმინდესი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ხმამაღლა ყვიროდა. ძალიან გაბრაზებული იყო, პატრიარქს ხელიც კი მოჰკიდა, არაფერი შეგეშალოსო, — აცნობა ერთ-ერთმა თვითმხილველმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

სასულიერო პირის ინფორმაციით, რამდენიმე დღეში ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა პეტრე ცისკარიშვილმა ალავერდის ეპარქიას კომბაინი წაართვა.

ალავერდში პრეზიდენტის და პატრიარქის ერთად ყოფნის კადრები ყველა ტელევიზიამ აჩვენა. ვნახეთროგორ დაათვალიერეს მათ ალავერდის მარანი.

მარნის დათვალიერების შემდეგ პატრიარქი და პრეზიდენტი ერთმანეთს ეპისკოპოსის რეზიდენციაში შეხვდნენ. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა თვითმხილველმა აცნობა, პატრიარქმა პრეზიდენტი ტრაპეზზე მიიწვია.

— პატრიარქმა მიხეილ სააკაშვილი მოკრძალებულ ტრაპეზზე მიიწვია, მან კი ჯერ ექიმებს შეამოწმებინა საჭმელი, მერე კი პატრიარქს სუფრა დაუწუნა და უთხრა, რომ ეს პრეზიდენტის შესაფერი სუფრა არ იყო, — განაცხადა თვითმხილველმა.

თვითმხილველების თქმით, დაპირისპირების შემდეგ პრეზიდენტმა ალავერდი დატოვა. რამდენიმე წუთში გაემგზავრა პატრიარქიც.

— როგორც იცით, ბიძინა ივანიშვილი 22 ივლისს, კახეთში სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა, რის შემდეგაც ალავერდის მონასტერს ეწვია და ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს შეხვდა. ივანიშვილს თან ზურაბ ზვიადაურიც ახლდა. მეუფე დავითმა ბიძინა ივანიშვილი თავაზიანად მიიღო, რასაც პეტრე ცისკარიშვილის გაღიზიანება მოჰყვა. მეუფემ კარგად რომ მიიღო ივანიშვილი, ამაზე პეტრე ცისკარიშვილი გაბრაზდა და მეუფეს კომბაინი წაართვა. მოგეხსენებათ, რომ ალავერდის მონასტერს მიწის ნაკვეთები აქვს, მოსავალი მოგვყავს და კომბაინი მოსავლის ასაღებად გვჭირდებოდა, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა სასულიერო პირმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის ალავერდის მონასტრის მოძღვარს მამა იოსებს დაუკავშირდა. მამა იოსების თქმით, მონასტერს ტექნიკა არ აქვს, სხვა კომენტარის გაკეთებაზე მოძღვარმა უარი თქვა და ტელეფონი გათიშა.

— მსგავსი რაღაცა მკრეხელობაა და გირჩევთ, რომ არც კი გაიმეოროთ. იქ იყო ძალიან ბევრი ადამიანი. სერიოზულად მაგ ინფორმაციას ვერც აღვიქვამ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ირმა ნადირაშვილმა.

ძნელი სათქმელია, რა მოხდა ალავერდში. მაგრამ ახმეტაში დღეს ბევრს საუბრობენ, რომ ცისკარიშვილმა მონასტერს ტექნიკა წაართვა. ახმეტაში ხუმრობენ, ცოტა ხანში იმ ჯიპებსაც წაართმევენ ეკლესიას, რომელიც მეუფეებს 2007 წლის ბოლოს აჩუქესო.

სხვათა შორის, მაშინ ამ ჯიპებზე უარი მხოლოდ რამდენიმე მღვდელმთავარმა თქვა. მათ შორის იყო მეუფე იობი. ძალიან მალე ნაჩუქარ ჯიპებში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს.

ალავერდში მომხდარ ინციდენტზე ალბათ კიდევ ბევრი ჭორ-მართალი გავრცელდება. ჭორაობენ იმაზეც, რომ ხელისუფლება რატომღაც ალავერდს ყურადღებას არ აქცევს. სტიქიის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ მონასტერს დატბორვა ემუქრება. შარშან მონასტერი ორჯერ დაიტბორა. მოსალოდნელ საფრთხეზე ხელისუფლებას რეაგირება არ მოუხდენია. ალავერდი ისევ საფრთხის წინაშეა.

საკმაოდ რთული ვითარებაა ეკლესიის გარშემო. წმინდა სინოდის ბოლო სხდომასაც ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მეუფე იობმა სინოდის განჩინებაზეც გააკეთა კომენტარი. მეუფის თქმით, განჩინება შეცვალეს.

რაკი მეუფე იობის შესახებ ვსაუბრობთ, მის წინააღმდეგ სერიოზული კამპანიაა დაწყებული. მეუფეს არასდროს დაუმალავს, რომ ეს ხელისუფლება არ მოსწონდა. მეუფე არც ხელისუფლებას მოსწონს. მასზე ათასგვარ ჭორს ავრცელებენ.

ეკლესიაში არსებულ განხეთქილებაზე ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა რამდენჯერმე. ბოლო განცხადება 5 აგვისტოს ბათუმში გაკეთდა. მან ხელისუფლებას ბრალი დასდო, რომ ეკლესიაში განხეთქილება შეაქვთ. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში პირობა დადო, რომ ეკლესია დამოუკიდებელი გახდება.

ეკლესიის გარშემო ბოლო დროს ცუდი რაღაცები ხდება. არადა, ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ხალხი ყველაზე მეტად ეკლესიას ენდობა. ვიღაცას კი ეს არ მოსწონს.

ეკლესიის გარშემო შარშანაც დიდი ხმაური ატყდა. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მაშინაც გაიმართა სინოდის სხდომა. ამ სხდომის გარშემოც ბევრი სკანდალური განცხადება გაკეთდა. მაშინ ამ თემაზე პატრიარქმა საკვირაო ქადაგებაზეც ისაუბრა.

— რამდენიმე დღის წინ ჩატარდა წმინდა სინოდის სხდომა. ვმსჯელობდით იმ ურთიერთობაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. იქ უნდა გამოთქმულიყო ერთი ექსპერტის აზრი, თუმცა, მღვდელმთავრების აზრი გაიყო, იყო თუ არა საჭირო ამ ადამიანის აზრის მოსმენა. ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა, თუმცა, მოგვიანებით ამ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ უმრავლესობის აზრისა, მოღალატეები უწოდეს. ეს ყოვლად დაუშვებელია. მინდა გითხრათ, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, რომელიც 33 წელია ღვთის მადლით ვიმყოფები პატრიარქის ტახტზე — მე არ შემხვედრია მოღალატე სასულიერო პირი, მოღალატე ეპისკოპოსი. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ და ამისთანა ცოდვა არ აიღოთ საკუთარ თავზე. საქართველოს ეკლესია და წმინდა სინოდი იყო და დარჩება ერთი სხეული, ერთი ძალა და ჩვენ ამ სულისკვეთებით გავაგრძელებთ ჩვენს სამსახურს, — ბრძანა მაშინ უწმინდესმა.

პატრიარქის განცხადებით, ზოგიერთი ისეთ უპასუხისმგებლო სიტყვებსაც ამბობდა, რომ შეიძლება ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს.

— წმინდა მამები ამბობენ, რომ ადამიანი, რომელიც ცდილობს მოახდინოს განხეთქილება, მოწამებრივი სისხლითაც კი ვერ განიწმინდება, რადგან ეს საშინელი ცოდვაა, — აღნიშნა პატრიარქმა.

## ცესკომ ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა გამოაქვეყნა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, დღეისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 მლნ. 621 ათას 256 შეადგენს.

ცესკოს ცნობით, ამ რაოდენობაში შედის ფიზიკური პირისა და საცხოვრისის მესაკუთრის განცხადებებით რეგისტრაციიდან მოხსნილი 77 ათას 232 ამომრჩეველი.

ცესკომ ამომრჩეველთა მონაცემები ქვეყნის მასშტაბით, ყველა ოლქის მიხედვით გამოაქვეყნა. კერძოდ, დედაქალაქის ყველაზე მრავალრიცხოვანი ოლქებია გლდანი, სადაც 155,822 ამომრჩეველია დარეგისტრირებული, სამგორი – 155,502, ნაძალადევი – 140,623 და საბურთალო – 128,740.

რაც შეეხება რეგიონებს, ყველაზე მრავალრიცხოვანია ქუთაისი – 163,654 ამომრჩევლით, ბათუმი – 131,756, ზუგდიდი – 129,170, გორი – 112,738 და რუსთავი 110,607.

ცესკომ ელექტორატის მონაცემები ამომრჩეველთა სიის დაზუსტების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისიისგან 1 აგვისტოს მიიღო.

1 სექტემბრამდე მოქალაქეებს სიაში საკუთარი თავის გადამოწმებისა და ცვლილებების მოთხოვნით კომისიისთვის მიმართვის საშუალება ექნებათ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია სიის საბოლოო ვერსიას 15 სექტემბრისთვის გამოაქვეყნებს. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს გაიმართება.

ნიუსპრესი

## თუშეთში ბრინჯაოს ხანის ნივთები აღმოაჩინეს

თუშეთში, სოფელ ომალოში დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების დროს ექსპედიციამ ქრისტეშობამდე VI–IV საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ხანის ნივთები აღმოაჩინა.

წვიმების შედეგად წყალმა მიწა ჩარეცხა და რამდენიმე სამაროვანი გამოჩნდა, რის გამოც დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. არქეოლოგიურ გათხრებს ერთი კვირის განმავლობაში ილიას უნივერსიტეტის კომპლექსური ექსპედიცია აწარმოებს. მათ მიერ ოთხი სამაროვანი გაიხსნა, სადაც მასშტაბურად აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ნივთები.

თუშეთის ეროვნული მუზეუმის ასისტენტის, ეთნოგრაფის ნუგზარ იდოიძის თქმით, აღმოჩენილია რკინის საბრძოლო იარაღები: შუბის წვერი, მახვილები, რკინის ნაჯახები, ბრინჯაოს სამკაულები: სამაჯურები, საკიდებლები, დიადემები, რაზედაც სიმბოლოებია გამოსახული და სხვა სამეურნეო ნივთები. აღმოჩენილია, ასევე ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხვრის ფიგურები.

„ამ აღმოჩენის შემდეგ ვფიქრობთ, სერიოზული არქეოლოგიური გათხრები ვაწარმოოთ თუშეთში. ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენა არის დაფა, სადაც ორი მზეა გამოსახული. ეს სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოა. სამაროვნებში იკვეთება კრემაციის კვალიც“, — განაცხადა ნუგზარ იდოიძემ.

დაზვერვით არქეოლოგიურ გათხრებში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩეხი სტუდენტებიც, რომლებიც მესამე წელია სისტემატურად სტუმრობენ თუშეთს.

მედიანიუსი

## მსხვილი რუსული კომპანიები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ინვესტიციებს დებენ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინსიტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებით, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება ამ ტერიტორიებზე მსხვილი ინვესტიციების შესვლის თვალსაზრისით გადამწყვეტი წინაპირობა აღმოჩნდა.

როგორც კარასინმა „იტარ-ტასისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, დღეისათვის აფხაზეთში ისეთი ცნობილი რუსული კომპანიები მუშაობენ, როგორიც გაზპრომი, როსნეფტი, ბანკი ვი-თი-ბი და სარკინიგზო კომპანიაა. ზემოხსენებულ „რესპუბლიკებში“ შედარებით პატარა რუსული ფირმებიც მუშაობენ.

„გაზპრომმა სერიოზული ინვესტიცია ჩადო ძაურიკაუ-ცხინვალის მაღალმთიანი გაზსადენის მშენებლობისთვის. ამ რესპუბლიკებისადმი ინტერესს სხვა ქვეყნების ეკონომიკური ოპერატორები სულ უფრო მეტად იჩენენ. მაგალითად, ცნობილია, თურქული ბიზნესის აქტიურობა აფხაზეთში“, — განაცხადა კარასინმა და დასძინა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უცხოურ საქმიან წრეებთან ურთიერთობების დამყარებაა.

„ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მუშაობა, მიუხედავად ქართული დიპლომატიის სასტიკი წინააღმდეგობისა, შედეგს მოიტანს“, — აღნიშნა მან.

მედიანიუსი

## აღსრულების ეროვნული ბიურო შპს ბურჯის“ ფართებს ახალი მფლობელისთვის გადასაცემად ამზადებს

აღსრულების ეროვნული ბიურო შპს „ბურჯის“ ფართების გამოთავისუფლებისა და ახალი მესაკუთრისთვის გადასაცემად მათ მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებს. ამის შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადებაშია ნათქვამი.

ბიუროს ინფორმაციით, მისი წარმომადგენლები, რომლებიც დღეს „ბურჯში“ შევიდნენ, შპს-ს ფართებს ათავისუფლებენ და ახალი მესაკუთრისთვის გადასაცემად ამზადებენ. განცხადების თანახმად, შპს „ბურჯის“ ქონებაზე გამოცხდებულ ელექტრონულ აუქციონზე გამოვლინდა გამარჯვებული, რომელმაც აღნიშნული ქონება 8 761 513.55 ლარად შეიძინა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, აუქციონზე გამარჯვებულმა თანხა 10 დღის განმავლობაში სრულად უნდა დაფაროს, რის შემდეგაც ის ქონების საბოლოოდ მყიდველი გახდება, შემძენს კი, ქონება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში უნდა გადაეცეს.

2 აგვისტოს შპს „ბურჯის“ ქონება აუქციონზე 8 761 513 ლარად გაიყიდა. როგორც „ნიუსპრესს“ აღსრულების ეროვნულ ბიუროში განუცხადეს, ქონების მყიდველის ვინაობა მის მიერ თანხის სრულად გადახდის შემდეგ გახდება ცნობილი.

აუქციონზე გატანილი იყო ბურჯის უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 10 307 663 ლარს შეადგენდა, საწყისი ფასი კი – 5 153 831 ლარი იყო.

შპს „ბურჯი“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოქმების საფუძველზე დაჯარიმდა. მას ჯარიმა კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ ავტომობილების შეღავათიან ფასად გაქირავებისთვის დაეკისრა. ჯარიმის გადახდაზე უარის თქმის შემდეგ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ „ბურჯის“ ქონება აუქციონზე გაიტანა.

ნიუსპრესი

# გიორგი ლალიძე: ოპოზიცია მაჟორიტარებთან დაკავშირებით უნდა შეთანხმდეს!“

ლიზა მახარაშვილი

**ინტერვიუ პარტია მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან**



მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა, პარტიები უკვე გახურებულ წინასაარჩევნო პროცესებში არიან. ტრადიცია არც ამჯერად ირღვევა და ოპოზიციური პარტიები კონკურენტუნარიანი გარემოს არარსებობას და ხელისუფლებიდან ხელისშეშლაას უჩივიან. მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო და საკმაოდ სწრაფი ტემპითაც. ერთადერთი, რასაც პარტიები არ უჩივიან, ეს არის წარმატების იმედი. ყველა პარტია საკუთარ წარმატებაში დარწმუნებულია თუმცა, ზოგიერთი დიდ გაერთიანებაზე დღემდე ფიქრობს.

***— ბატონო გიორგი, წინასაარჩევნოდ რამდენად თანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში არიან პარტიები ჩაყენებული?***

— მე ძალიან კარგად ვიცი იმ რაიონის მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები და გასაჭირი. ასევე დიდი იმედი მაქვს, რომ მე ემქნება ამ რაიონიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. არჩევნების დროს ერთი რამ არის ძალიან მნიშვნე,ლოვანი, რომელსაც პარტიები ძალიამ იშვიათად ითვალისწინებენ, ეს არის ის, რომ ამა თუ იმ რაიონის პრობლემები მაშინ კი არ უნდა გახდეს აქტუალური, როცა ეს შენ დაგჭირდება, არამედ ყოველთვის უნდა იყო იმ ადამიანების გვერდით, ვისაც რეალურად უჭირს. მე არ ვამბობ მხოლოდ ერთ რომელიმე პარტიასა თუ კანდიდატზე, ძალიან ბევრ პარტიას ისეთი კანდიდატები ჰყავთ დასახელებული, რომ ის ადამიანები მხოლოდ გავლით თუ არიან იმ რეგიონში ნამყოფი და პრობლემებზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. მე პირადად წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება არ დამჭირვებია, მე ყოველთვის ამ რეჟიმში ვიყავი მოსახლეობასთან, ამიტომ ვამბობ, რომ მე მაქვს რეალურად კონკრეტული შედეგის მიღების იმედი.

***— პარტიის ძირითადი პრიორიტეტები რა იქნება?***

— ჩვენი ძირითადი პრიორიტეტებია უმუშევრობის დაძლევა, ესც არის პირველ რიგში მოსაწესრიგებელი საკითხი. მეორე არის სოფლის მეურნეობის განვითარება. გლეხს უნდა ჰქონდეს მიწა, რათა მან შეძლოს მისი დამუშავება და აქედან გამომდინარე იქნება სოფელი ძლიერი. ის პირველ რიგში განავითარებს ქვეყნის შიდა მეურნეობას და რაც ყველაზე მთავარია, შეამცირებს მიგრაციას სოფლებიდან და საერთოდ ქვეყნიდან, რაც ასევე ძალიან საჭირბორიტო საკითხია ქვეყნის მომავლისათვის. თუ ეს ჩვენ შევძელით, ვთვლი, რომ ეს იქნება ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი. მე ვთვლი, რომ ჩვენს პარტიას აქვს ამის რესურსი და შესაძლებლობა, რომ ეს განახორციელოს. რაც შეეხება არჩევნებს, ჩვენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან დავასახელეთ მაჟორტიტარობის რვა კანდიდატი და უახლოეს მომავალში ეს სია გაიზრდება. მე ვთვლი, რომ ამ არჩევნებზე ჩვენ ღირსეულ კონკურენციას გავუწევთ სხვა პარტიების კანდიდატებს. მინდა გითხრათ, რომ ეს პრობლემა ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება. ვფიქრობ, რომ საქართველოში მანამ არ დამყარდება პოლიტიკური ქცევის დაუწერელი კანონები და არ გვექნება პოლიტიკური კულტურა ამაღლებული, არაფერი არ გვეშველება. ჩვენ არასდროს არ ვიყავით ნაციონალური არხებით განებივრებულები და ასეა დღემდე. ეს არის იმის მანიშნებელი, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს პრეტენზია დემოკრატიაზე და ტელევიზიებს კი დამოუკიდებლობაზე. საერთო ჯამში ამით ზარალდება ქართვლი საზოგადოება და ხალხის ინტერესები ეწირება ერთი და ორი ადამიანის ინტერესებს. თუ ეს გაგრძელდა ასე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ხელისუფლება უკვე ემზადება არჩევნების გაყალბებისთვის და ეს პროცესი უკვე დაწყებულიც აქვს. ამის შესახებ ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენებთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მოხდეს თანაბარ გარემოში პოლიტიკური პარტიების მუშაობის გაშუქება და აქედან გამომდინარე, საზოგადოებას მიეცეს იმის საშუალება, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს, გაეცნოს ყველა პოლიტიკური პარტიის მუშაობას და მიეცეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება. ასევე მინდა მოვუწოდო ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მანამ ჯერ კიდევ არ არის გვიანი და ჯერ არის იმისი დრო, რომ რაღაც საერთო გადაწყვეტილებამდე მივიდეთ, პარტიები აუცილებლად უნდა შევჩერდეთ მაჟორიტარ კანდიდატებზე, ვისაც რომელ რეგიონში გვყავს ძლიერი კანდიდატები, ერთმანეთის კანდიდატების სასარგებლოდ მოვხსნათ ჩვენი კანდიდატურები და დავუდგეთ იმ ადამიანებს გვერდით, ვისაც რეალურად აქვს გამარჯვების შანსი. ეს უნდა გავაკეთოთ თუ ჩვენ გვინდა რაიმე შედეგი მივიღოთ. თუ ეს მიუღებელი აღმოჩნდა ვინმესთვის და დაიდო საბოლოოდ არასასურველი შედეგი, განვითარებულ პროცესებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პოლიტიკურ ძალას, ვინც თავი აარიდა ამ ოპოზიციის გაერთიანებას. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რომ გავერთიანდეთ ერთი იდეის გარშემო, დავუპირისპირდეთ გაერთიანებული ძალებით ნაციონალური მოძრაობას. მე მზად ვარ დავიწყო მოლაპარაკებები ყველა პოლიტიკურ ძალასთან.

## თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია მორიგ, რიგით მეშვიდე ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2012 წლის ივლისში გაწეულ ხარჯებს.

პირველი ივლისისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 283802.75 ლარი. ივლისის თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 119885.47 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 200-მდე ადამიანი.

ორგანიზაციის მიერ 2012 წლის ივნისში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენილი.

**თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში) 01.06.2012 – 01.07.2012**

**შემოსავლები**

| № | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|
| 1. | 283802.75 | ნაშთი 2012 წლის 1 ივლისისთვის |
| **სულ** | **283802.75** | |

**ხარჯვითი ნაწილი**

| № | დანიშნულება | ფაქტიური ხარჯი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1. | ხელფასები | 70586.31 | |
| 2. | ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი | 18000 | |
| 3. | თანამშრომლების დაზღვევა | 2674 | |
| 4. | ურიკების ბორბლები | 308 | ამორტიზებული ბორბლების შეცვლა |
| 5. | სარეკლამო რგოლის განთავსება | 10062 | ტელეკომპანია “მაესტრო” |
| 6. | კატრიჯის დატენვა | 100 | |
| 7. | მივლინება ბორჯომში | 126 | |
| 8. | ბათუმში, პრესის გავრცელების სამსახურებისთვის ფინანსური დახმარება | 1600 | |
| 9. | საწვავის ღირებულება | 6540 | ბენზინი- 2.5 ტ. დიზელი - 0.5 ტ |
| 10. | ინტერნეტმომსახურება | 77 | |
| 11. | კორპორატიული მობილური ტელეფონები | 250 | 10 ცალი, პრესის რეალიზატორებისათვის |
| 12. | კორპორატიული მობილური ტელეფონების სააბონენტო გადასახადი | 1425 | 200 ტელეფონი, 14 მოდემი, 112-ის მომსახურება |
| 13. | ცენტრალური ოფისის იჯარა | 1612,8 | |
| 14. | ცენტრალური ოფისის კომუნალური გადასახადები | 444.20 | |
| 15. | ლოჯისტიკის ცენტრების იჯარა | 5716.40 | |
| 16. | ლოჯისტიკის ცენტრების კომუნალური გადასახადები | 17.50 | |
| 17. | საკანცელარიო ნივთები | 303.21 | |
| 18. | ბანკის მომსახურება | 43.05 | |
| **ჯამი** | | **119885.47** | |
| **ნაშთი, 2012 წლის 1 აგვისტოსთვის** | | **163917.28** | |

## თავდაცვის სამინისტრომ ახალი კონცეფცია შეიმუშავა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი კონცეფცია აქვს. თავდაცვის უწყების სამოქმედო დოკუმენტი ე.წ. 3თ-ს პრინციპს ეფუძნება და ტოტალურ ზრუნვას, ტოტალურ წვრთნასა და ტოტალურ თავდაცვას გულისხმობს.

გუშინ თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მედიის წარმომადგენლებს თავდაცვის სამინისტროს ახალი კონცეფცია გააცნო, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ტოტალური ზრუნვაა. კონცეფცია ძალაში 2013 წლამდე ეტაპობრივად შევა. სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებზე სახელმწიფოს მხრიდან ტოტალური ზრუნვის კომპონენტებია: ჯანდაცვა, განათლება, შეღავათები ტრანსპორტზე, საბანკო შეღავათები, ფინანსური წახალისება და დასაქმება, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და დასვენება.



როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გათვალისწინებით, მკვეთრად უმჯობესდება სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისთვის განკუთვნილი სადაზღვევო პაკეტი. ამასთანავე, სპეციალურად სამხედრო მოსამსახურეებისთვის შეიქმნება რეფერალური ფონდი, რომლიც საჭიროების შემთახვევაში, ასევე მოხმარდება სამხედროებისა და მათი ოჯახების სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას.

სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისთვის ჯანდაცვის მომსახურების სრული პაკეტის შეთავაზების გარდა, თავდაცვის სამინისტრო ყველა სამხედროსთვის და მათი ოჯახებისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზეც იწყებს ზრუნვას. განათლების სფერო, ასევე გახდება ერთ-ერთი მოტივატორი ჯარში სამსახურის დასაწყებად.

კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო 2013 წლიდან ბაკალავრიატში 4 წლიან სწავლებას დაუფინანსებს ყველა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი და ვერ იხდის სწავლის საფასურს. ასეთ ადამიანს, თავდაცვის სამინისტრო სთავაზობს ერთწლიან სავალდებულო სამსახურს ჯარში, რის შემდეგაც მისი სწავლება სრულად დაფინანსდება.

იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება საკონტრაქტო სამსახურს მეორე ვადითაც გააგრძელებს, მას თავდაცვის სამინისტრო მაგისტრატურაში სწავლის საფასურს დაუფინანსებს. სამხედროებს უფასოდ გადაეცემათ კომპიუტერის, ინგლისურისა და ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, ქართულის სწავლების ვაუჩერი, ასევე პროფესიული სწავლების ვაუჩერიც.

შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების საზღვარგარეთ სამხედრო სასწავლებლებში სწვალების ხარჯებს დაფარავს.

სამხედროებისთვის ასევე ამოქმედდება განათლების უზრუნველყოფის საოჯახო პაკეტი, კერძოდ: ფასდაკლება სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში; ოფიცრების, კაპრალებისა და სერჟანტების პირველკლასელი შვილებისთვის უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები; 16-წლიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის შვილების სწავლების დაფინანსება ბაკალავრიატში სახელმწიფო გრანტის ოდენობით; პროფესიული განათლების ვაუჩერი სამხედრო მოსამსახურეების მეუღლეებს.

სამხედროები მუნიციპალურ ტრანსპორტში სპეციალური ფასდაკლებებით ისარგებლებენ, მიიღებენ საბანკო შეღავათებს, ფინანსურ წახალისებასა და ფასდაკლებას დასასვენებელ საგზურებზე.

ტოტალური ზრუნვა ასევე გამიზნულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო მისიებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის.

3თ-ს კონცეფციის დანარჩენი ორი პრინციპი ტოტალურ წვრთნასა და ტოტალურ თავდაცვას ეფუძნება.

ტოტალური ტრენინგი – ნატოში ინტეგრაციისთვის აუცილებელია სახელმწიფოს კარგად მომზადებული და გაწვრთნილი ჯარი ჰყავდეს. ამ მიმართულებით ჯარის მომზადება, საერთაშორისო წვრთნები და ტრენინგები კიდევ უფრო გაძლიერდება. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ საქართველოში ძლიერი, კარგად მომზადებული ჯარი იყოს, რაც ქვეყნის უსაფრთხოებისა და სიძლიერის გარანტია.

ტოტალური თავდაცვა – ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას გულისხმობს, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი რეზერვის არსებობა და გაძლიერებაა, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

**მედიანიუსი**

## მოყვარული მთამსვლელები თეთნულდზე ქვის ცვენაში მოყვნენ

რუსი მთამსვლელები უკვე მეხუთე დღეა სვანეთში თეთნულდის მწვერვალზე იმყოფებიან.

ოთხი მთამსვლელი დაშვების დროს, წინასწარი ინფორმაციით, ისინი ქვის ცვენაში მოყვა.

მათ კავშირის გაწყვეტამდე შეძლეს მეგობართან დაკავშირება, რომელმაც მომხდარი სამაშველო სამსახურს აცნობა. მათ დასახმარებლად სპეციალური ჯგუფია გასული, თუმცა სამაშველო სამუშაოებს უამინდობა ართულებს. შემთხვევის ადგილზე ვერც ვერტმფრენი ახერხებს მისვლას.

მთამსვლელები ამ დროისათვის 3700 მეტრის სიმაღლეზე იმყოფებიან.

**მედიანიუსი**

# გოჩა ძასოხოვს აგვისტოს ომის განმეორების ეშინია

თეა მარხვაიძე

## კარასინი კი ოქტომბერში ომს არ ელოდება

**ხვალ საქართველოსთვის ძალიან მტკივნეული თარიღია. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაიწყო 8 აგვისტოს ომი. ფაქტი ისაა, რომ ამ ავადსახსენებელმა დღემ საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა. დაიკარგა ტერიტორიები, დაიხოცა ხალხი და ათასობით დევნილი შეემატა დევნილთა მრავალრიცხოვან არმიას.**



იმ ავადსახსენებელი მოვლენებიდან 4 წელი გავიდა. ის ჭრილობა ხეირიანად არ არის მოშუშებული. ვიღაცები კი იმის მტკიცებაში არიან, რომ 2008 წლის აგვისტო შეიძლება კიდევ განმეორდეს.

რუსულ აგრესიაზე საუბარი საქართველოში არ უკვირთ. არც რუსული ტანკები უკვირთ აქ. ჩვენი მოსახლეობა შეჩვეულია, რომ მოსალოდნელ საფრთხეებზე არჩევნების წინ საუბრობენ ხოლმე.

ასე იყო ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ეპოქაშიც. იმ დროს მთლად რუსებით არ გვაშინებდნენ. მაშინ გვეუბნებოდნენ, რომ თუ მოქკავშირს არ მივცემდით ხმას, იგორ გიორგაძე შემოიჭრებოდა საქართველოში. დღევანდელი ნაციონალების (რომლებიც მაშინ მოქკავშირლობდნენ) მტკიცებით, იგორა ყოველი არჩევნების წინ თეთრ ტანკს კაზმავდა და საქართველოსკენ იღებდა გეზს.

მოქკავშირი ისე ჩაბარდა ისტორიას, მათი დაანონსებული ამბავი იგორის ლაშქრობისა არ გამოვიდა. მერე იყო 2003 წლის ვარდების რევოლუცია. ახლა ამბობენ, რომ მაშინ გიორგაძემ სააკაშვილს დაჯავშნული მანქანა გამოუგზავნა და ქომაგობდა კიდევაც.

ეს ამბავი ნაცმოძმა უარყო. თუმცა იმის შემდეგ იგორის ლაშქრობის შესახებ კრინტი აღარ დაუძრავთ.

ერთხელ გაგვახსენეს მხოლოდ მისი ამბავი. ეს 2008 წლის ომის დროს მოხდა. ამბობდნენ, იგორა რუსულ არმიას შემოჰყვა საქართველოშიო. იგორი არსად გამოჩენილა. ამათაც დაავიწყდათ.

ახლა პირდაპირ რუსული არმიის შემოჭრით გვემუქრებიან. რუსებისგან არაფერი გასაკვირი არ არის. და ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ჩვენი საზღვრების სიახლოვეს წვრთნებს ატარებენ.

ამ წვრთნების გამო რამდენიჯერმე გაინერვიულა ჩვენმა ხელისუფლებამ თავი. შეშფოთდა ევროპაც.

ახლა ერის შეშფოთება ბაჩუკი ქარდავამ მოინდომა. მან გვითხრა, რომ ქართული ოცნება არჩევნების შემდეგ აქ რუსული არმიის შემოყვანას აპირებს. სოციალური ქსელებით გავრცელდა იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერის წერილიც. ის ამტკიცებს, რომ ჰქონდა ხილვა, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოში 27 ოქტომბერს უნდა შემოიჭრას.

ექსპერტები ამ განცხადებებს არასერიოზულად მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების ბინძური პროპაგანდის ნაწილია.

ამ განცხადებებში ხელისუფლების ხელი მართლაც ურევია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაღაც მართლა ხდება. კონფლიქტის ზონაში მყოფი მოსახლეობა ამტკიცებს, რომ ცხინვალიდან ქალების და ბავშვების ევაკუაცია დაიწყეს. ამბობენ, რომ ცხინვალში ომისთვის ემზადებიან.

ცხინვალში რაღაცისთვის აშკარად ემზადებიან. და ეს რაღაცა შესაძლოა სამოქალაქო დაპირისპირება იყოს. ცოტა ხნის წინ აქ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი თანამდებობის დატოვებას აპირებს. ამ ინფორმაციას თიბილოვმა სიცრუე უწოდა. სამართალდამცავებს ამ ჭორების გამავრცელებლების მოძებნა დაავალა. ამბობენ, რომ აქ გარკვეული ძალები რევანშისთვის ემზადებიან. არ არის გამორიცხული, კოკოითიმ თიბილოვის დამხობა სცადოს. და თუ ეს მოხდა, ამაში ალბათ რუსეთის ხელი იქნება გარეული.

საქართველოდან დევნილი ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი კი ამტკიცებს, რომ ცხინვალში საქართველოსთან მორიგი ომისთვის ემზადებიან. თითქოს ქარდავა არ იყო საკმარისი თავისი ვარაუდებით, ახლა ძასოხოვიც დაგვემატა. ის ცოტა ხნის წინ ცხინვალში იყო და იქ თურმე ყველა მოსალოდნელ ომზე საუბრობდა.



– 2008 წლის ომის შემდეგ კავკასიაში ბევრი რამე შეიცვალა, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის უკეთესობისკენ არაფერი არ შეცვლილა, პირიქით, მათთან საქმე უარესადაა. მას შემდეგ, რაც საქართველოს რეჟიმი თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, ჩვენ შედეგად მივიღეთ სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოები – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ოსები აშენებენ თავიანთ სახელმწიფოს, ისინი ცდილობენ, დაანახვონ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ეს პროცესი შეუქცევადია. მაგრამ ომის დასრულების შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში კიდევ რჩება აღუდგენელი სახლები, საბავშვო ბაღები, ხალხი იტანჯება. მიმაჩნია, რომ ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება როგორც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების, ასევე რუსეთის მხრიდანაც, რადგანაც ძირითადი პარტნიორი და რეალური ეკონომიკური სპონსორი ამ მიმართულებით სწორედ რუსეთის ფედერაციაა, – განაცხადა „გოლოს როსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გოჩა ძასოხოვმა.

მისივე აზრით, საქართველო, როგორც ყოველთვის, თავისი პოლიტიკური ცხოვრებით, განსაზღვრული იდენტურობით და სახელმწიფოებრიობით ცხოვრობს. თუმცა მიიჩნევს, რომ ერთ დროს ხალხი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მხარს უჭერდა, დღეს მის ოპოზიციაშია. ძასოხოვის აზრით, არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობა“ ეცდება საპარლამენტო რესპუბლიკის სათავეში ისევ მოქმედი გუნდი დარჩეს.

– ახლახან ვიმყოფებოდი სამხრეთ ოსეთში და არსებობს შიში იმისა რომ აგვისტოში ოლიმპიური თამაშების დროს, ისევ მოხდება თავდასხმა და ისევ იქნება ომი. გვერდიდან რომ შევხედოთ თითქოს ვიღაც ცდილობს ხალხში ასეთი დაძაბულობა არსებობდეს. წლები უნდა გავიდეს, რათა ხალხმა ტკივილები დაივიწყოს. სამწუხაროდ, საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც საპირისპიროს ემხრობიან და გამოდიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების იდეით. საომარი რიტორიკა და მუქარა არის წარსულში დაბრუნება, რაც ასეთ ძალებს არ გამოუვათ, – მიაჩნია ძასოხოვს.

საქართველოს ხელისუფლება ამ განცხადებას უკვე გამოეხმაურა. მათ ეს ყველაფერი ივანიშვილს დაუკავშირეს. ეს არც არის გასაკვირი, დევნილმა ბიზნესმენმა ქართულ ოცნებას მხარდაჭერა რამდენიმე თვის წინ გამოუცხადა.

მოსალოდნელ ომზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინიც ალაპარაკდა. ეს კაცი სულ ომზე და უბედურებებზე ფიქრობს.

გრიგორი კარასინი 2008 წლის მოვლენების განმეორების შესაძლებლობას არ გამორიცხავს და აცხადებს, რომ ამის მიზეზი საქართველოს მოქმედი ხელისუფლების არაპროგნოზირებადი ხასიათია.

– თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების არაპროგნოზირებადობას, მიდრეკილებას სამხედრო ავანტიურისადმი, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თბილისი უარს ამბობს, ხელი მოაწეროს სოხუმსა და ცხინვალთან იურიდიულ დოკუმენტს ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

მოცემულ მდგომარეობაში, როცა საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია იწყება, ვფიქრობ, დიდი იქნება ცდუნება იმისა, რომ შიდაპოლიტიკური მიზნების მისაღწევად რეგიონში ახალი პროვოკაციების ორგანიზება მოხდეს. ერთი რამის თქმა დარწმუნებით შემიძლია: ნებისმიერი ასეთი ტიპის ავანტიურა მარცხისთვისაა განწირული“, – განაცხადა კარასინმა „იტარ-ტასისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დასძინა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებას ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე აღნიშნულ ტერიტორიებზე მყოფი რუსი მესაზღვრეები და ჯარისკაცები იცავენ, – აცხადებს კარასინი.

რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ის ითხოვს, რომ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტზე აღარ ისაუბრონ.

– პირველ რიგში, მინდა განვმარტო, რომ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი აღარ არსებობს. ამ კონფლიქტებზე საუბარი მიზანშეწონილი 2008 წლის აგვისტომდე იყო, – განაცხადა კარასინმა.

მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის და საერთაშორისო საზოგადოების მცდელობას, კონფლიქტი მშვიდობიანად დარეგულირებულიყო, აგვისტოს ომმა ხაზი გადაუსვა, – როდესაც საქართველომ დაარღვია საერთაშორისო შეთანხმებები და განახორციელა მასირებული შეიარაღებული თავდასხმა სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობაზე და რუს მშვიდობისმყოფელებზე. შედეგად, საკითხის მშვიდობიანად დარეგულირების პროცესი ჩაიშალა. ხოლო კონფლიქტურ რეგიონებში აღმოცენდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, – განაცხადა კარასინმა.

როგორც კარასინი აცხადებს, ბოლო პერიოდი მიუთითებს, რომ სტაბილურობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული და ვითარება დაძაბულია.

– საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის უცერემონიო სწრაფვა, შეაღწიონ აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მოლაპარაკების ბლოკირების მიზეზი გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზური მხარე იძულებული გახდა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, ანჟეი ტიშკევიჩი პერსონა ნონ გრატად გამოეცხადებინა, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

კარასინმა საქართველოს ხელისუფლება ინფორმაციულ დივერსიაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ქართული მხარე ავრცელებს ჭორს, თითქოს ოქტომბერში მორიგი ომია მოსალოდნელი, რაც ვითარებას ძაბავს.

# მანანა ნაჭყებია: ახალ მემარჯვენეებს“ მაჭავარიანის მითითებები არ სჭირდება

პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლები 7 და 8 აგვისტოს საარჩევნო კამპანიის შეწყვეტას და რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს გეგმავენ.

როგორც „ნიუსპრესს“ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ განუცხადა, აგვისტოს ომის დროს პოლიტიკურ აქტიურობაზე მორატორიუმის გამოცხადების ინიციატივა სწორედ მის პარტიას ეკუთვნოდა.

მისი თქმით, „ახლებს“ მიაჩნდათ, რომ საომარი მოქმედებების დროს პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთთან დაპირისპირება უნდა შეეწყვიტათ.



„ჩვენი პიარკამპანია წელსაც ისე გვქონდა დაგეგმილი, რომ 7 და 8 აგვისტოს ღონისძიებები ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გამართულიყო. ამიტომ, მიხეილ მაჭავარიანის და „ნაცმოძრაობის“ მითითებები, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ ასეთ დროს, ნამდვილად არ გვჭირდება“ – განაცხადა ნაჭყებიამ.

მისი თქმით, „ახალი მემარჯვენეები“ ახალგაზრდული ორგანიზაციის მონაწილეობით, 8 აგვისტოს, გორში საგანგებო ღონისძიებას გამართავენ.

„სანამ ამაზე „ნაციონალური მოძრაობა“ იფიქრებდა, ჩვენ უკვე ნაფიქრი გვქონდა“ – აღნიშნა ნაჭყებიამ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 7 და 8 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანიას შეწყვეტს. ამის შესახებ საგანგებო განცხადება პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა დღეს გააკეთა და პოლიტიკურ ოპონენტებს მათი მიბაძვისა და გმირთა ხსოვნისადმი პატივის მიგებისკენ მოუწოდა.

8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან 4 წელი სრულდება, რასაც რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოყვა. იმავე წლის 26 აგვისტოს, რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ ოფიციალურად აღიარა.

**ნიუსპრესი**

# საქართველოში ხსოვნის კვირეული დაიწყო

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი გმირების ხსოვნის პატივსაცემად, 6 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით ხსოვნის კვირეული გაიმართება.



კვირეულის ორგანიზატორები არიან ფონდი „წითელი ყაყაჩო“ და გაზეთი „პრაიმტაიმი“.

კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების გამართვა იგეგმება.

ორგანიზატორების განცხადებით, დღეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნება გამოფენა – „საქართველოს მოპარული ისტორია“, რომელიც 11 აგვისტომდე გასტანს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 1919 წელს ფრანგულ ჟურნალ „ლიმაჟში“ დაბეჭდილი საქართველოს კულტურის, არქიტექტურის, ბუნებისა და ისტორიის შესახებ მასალა.

ასევე, გამოიფინება დოკუმენტური მასალა და ფოტოები იმის შესახებ თუ რამდენად ინტეგრირებული იყო საქართველო ევროპასთან, კულტურის, ეკონომიკისა და განათლების სფეროში და რა დიპლომატიური კავშირები ჰქონდა მას.

გამოფენაზე შედგება შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ფილმის „ნელი მოქმედების ნაღმების“ პრეზენტაცია. ფილმში მოთხრობილია 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ისტორია, პარალელებია გავლებული 1921 წელსა და 2008 წლის მოვლენებს შორის.

კვირეულის ფარგლებში, „პრაიმტაიმის“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მიერ ერთობლივად მომზადებული ჟურნალ „საარქივო მოამბის“ სპეციალური ნომრის პრეზენტაცია გაიმართება, რომელიც საქართველოს გასაბჭოების თემას მიეძღვნება.

ჟურნალში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ავტონომიური ოლქების ხელოვნურად შექმნის შესახებ, წითელარმიელთა მოგონებებიდან ნაწყვეტები შევიდა.

ჟურნალი ასევე, მოიცავს საბჭოთა საგარეო პროპაგანდის ამსახველ მასალას და ქართველი პოლიტპატიმრებისა და მუშების წერილებს, რომლებიც 1921 წელს საქართველოდან რუსული არმიის გაყვანასა და ქართული ენისა და სახელმწიფოებრივი საზღვრების დაცვას მოითხოვდნენ.

7 აგვისტოს, 18:00 საათზე, „თიბისი“ გალერეაში გამოფენა „მშვიდობა“ გაიხსნება. ხსოვნის კვირეული საქართველოში წელს მეოთხედ აღინიშნება.

**ნიუსპრესი**

# პოლიტიკური ჩისტკები“ ყაზბეგში

ყაზბეგში კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სამსახურებიდან გაათავისუფლეს. როგორც მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნებიდან“ ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მირიან წიკლაურმა განუცხადა, მათ აქტივისტებს, რომლებიც მანქანებით გადაადგილდებიან, ბოლო 10 დღის განმავლობაში პოლიცია აჯარიმებს.



„სამსახურიდან გაათავისუფლეს ჯაბა გომიაშვილი. ეს ის ჯაბა გომიაშვილია, რომელიც 2012 წლის 1 ივლისს სტეფანწმინდის შემოსასვლელთან ბიძინა ივანიშვილს ცხენით დახვდა. მყინვარწვერზეც „ქართული ოცნების“ დროშა მან აიტანა. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში ის სამსახურიდან გაათავისუფლეს. ჯაბა გუდაურში, მაშველად მუშაობდა“, – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ ყაზბეგის შტაბის უფროსის მოადგილე ნონა სუჯაშვილმა.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო გუდაურის ერთ-ერთი სასტუმროდან გაათავისუფლეს გიორგი წამალაიძეც.

„განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრების გამო დაატოვებინეს სამსახური ყაზბეგის საავადმყოფოს ექთანს, დიანა ავსაჯანიშვილსაც. მეუღლის მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ღიად გამოთქმული უკმაყოფილობის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი ციცია ქაწაშვილი. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებები დააწერინეს „ლიბერთი ბანკის“ ყაზბეგის ფილიალის რამდენიმე თანამშრომელს, მათ შორის ბანკის ხელმძღვანელს, ნინო ქუშაშვილს. გვაქვს ინფორმაცია, რომ „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელობას სამსახურიდან მათი გათავისუფლება მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა მოსთხოვა. ჩვენს აქტივისტებსა და მხარდამჭერებზე საგანგებო კონტროლს ახორციელებს საპატრულო პოლიციაც. სოლიდური ჯარიმებით მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს აჯარიმებენ,“ -აღნიშნა ნონა სუჯაშვილმა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის დავით ღუდუშაურის განცხადებით, გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა ციცია ქაწაშვილმა თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. „ერთი კვირის წინ დაწერა განცხადება, ბიზნესი აქვთ და წავიდა სამსახურიდან. ზოგიერთები ახალი ხელმძღვანელების დავალებებს ვერ ასრულებენ, მოხუც ხალხს სათანადოდ ვერ ეპყრობიან. რამდენი ვინმე წავა, ხომ არ შეიძლება ყველაფერი ოპოზიციას დავუკავშიროთ?“,– განაცხადა ყაზბეგის გამგებელმა.

„ლიბერთი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა დოდო ბოჭორიშვილმა პოლიტიკური ნიშნით ბანკის ყაზბეგის ფილიალიდან თანამშრომლების გათავისუფლების ფაქტი კატეგოტიულად უარყო. „პოლიტიკური ნიშნით ჩვენ არავის ვათავისუფლებთ. არასწორი ინფორმაციაა“, -აღნიშნა დოდო ბოჭორიშვილმა.

**ვახო ჭინჭარაული**

**მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# სოსო შატბერაშვილი: ლეიბორისტები“ ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ფინანსურ მაქინაციებს“ გამოიძიებენ

„ლეიბორისტული პარტია“ მეანაბრეთა ლიგას ქმნის, რომელიც ლონდონში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის ვანო ჩხარტიშვილის „ფინანსურ მაქინაციებს“ გამოიძიებს.



ეს განცხადება „ლეიბორისტული პარტიის“ გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ ბრიფინგზე გააკეთა.

„იმის ნაცვლად, რომ ანაბრების გამტაცებელმა, სააკაშვილ-ივანიშვილის ამფსონმა ვანო ჩხარტიშვილმა ხალხს ანაბრები დაუბრონოს, მან გადაწყვიტა „ქართულ ოცნებაში“ მყოფ კრიმინალ-ოლიგარქის თანამებრძოლებს ჩამორთმეული სასახლეები დაუბრუნოს. მოვუწოდებთ მას, ხალხისგან მითვისებული მილიარდობით ანაბარი დააბრუნოს და ამის მერე მიხედოს თავის მილიონერ ძმაკაცებს“ – განაცხადა შატბერაშვილმა და დასძინა, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ხალხს ანაბრები დაუბრუნდებათ.

ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა 17 პირისთვის, რომლებმაც „ქართული ოცნების“ ფონდში თანხა გადარიცხეს, ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ გააკეთა.

ბიზნესმენის თქმით, აღნიშნულ პირებს ჩამორთმეულ ბინებს ქართველი ემიგრანტები დაუბრუნებენ.

აღნიშნული 17 პირის ქონება საჯარო აუქციონზე გასაყიდად 3 აგვისტოს გაიტანეს.

**ნიუსპრესი**

# თავისუფალი პროფკავშირები სოლიდარობა 2“ დეკემბერში დაფუძნდება

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირები „სოლიდარობა 2“ მიმდინარე წლის რვა დეკემბერს დაფუძნდება. ამის შესახებ გუშინ, სასტუმრო „ამბასადორში“ თავისუფალი პროფკავშირების დამფუძნებელთა საბჭოს კონფერენციაზე აღინიშნა.



კონფერენციის მონაწილეებმა დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარედ თავისუფალი პროფკავშირების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი ემზარ ბეჟაშვილი აირჩიეს.

როგორც ბეჟაშვილმა განაცხადა, დღევანდელი კონფერენციის მიზანი მთავრობისგან დამოუკიდებელი ალტერნატიული პროფკავშირის შექმნაა, რადგან, მისივე განცხადებით, დღეს მოქმედი ერთადერთი პროფკავშირი, რომელიც ხელისუფლების ნების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს, მოქალაქეთა პროფესიულ უფლებებსა და ინტერესებს არ იცავს.

„ყველა დაინტერესებულ პირს მოგიწოდებთ 8 დეკემბერს საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების „სოლიდარობა 2“-ის დამფუძნებელი ყრილობა ერთად ჩავატაროთ და ჩვენი შრომითი და პროფესიული უფლებების დასაცავად ერთად ვიბრძოლოთ“-აღნიშნეს კონფერენციის მონაწილეებმა.

თავისუფალი პროფკავშირების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორის ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, ალტერნატიული პროფკავშირი მთავრობის დიქტატისგან თავისუფალი იქნება.

„მასში გაწევრიანებული ადამიანები ჩვენთან ერთად იბრძოლებენ იმისთვის, რომ ქვეყანაში რეალური პროფკავშირი არსებობდეს. მოქალაქეთა პროფესიული დაცვა რეალურად მოხდეს და არა ისე, როგორც ამას სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებს“-განაცხადა მან.

მისი თქმით, თავისუფალი პროფკავშირების შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან, მისივე თქმით, ის, რაც დღემდე ხდება, საბჭოთა კავშირში და ფაშისტურ გერმანიაში არსებული პროფკავშირის გაგრძელებაა.

„სოლიდარობა 2-ის“ დამფუძნებელი საბჭოს წევრები „საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა ასოციაციის“, „რკინიგზელთა თავისუფალი კავშირის“, „თავისუფალ მოვაჭრეთა კავშირის“, „თავისუფალ ტრანსპორტელთა კავშირისა“ და სხვა ასოცაციების წარმომადგენლები არიან.

**ნიუსპრესი**

# მანანა კობახიძე: ქართულ ოცნებას“ 7 და 8 აგვისტოს მასშტაბური პოლიტიკური ღონისძიებები არ აქვს დაგემილი



პოლიტიკური კოლიცია „ქართული ოცნების“ ერთი-ერთი ლიდერის მანანა კობახიძის განცხადებით, კოალიციას 7 და 8 აგვისტოს მასშტაბური პოლიტიკური ღონისიძიები არ აქვს დაგემილი.

„7 და 8 აგვისტოს რამე განსაკუთრებული არ გავქვს დაგეგმილი, მით უმეტეს საზეიმო ღონისძიება. თუმცა, რა ღონისძიებები დაიგეგმება, ამაზე პოლიტსაბჭო დამატებით იმსჯელებს“ – აღნიშნა კობახიძემ.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისთვისთვის პატივის მიგებას, კობახიძის თქმით, „ქართული ოცნება“ ქართველ გმირთა ხსოვნას პატივს სხვების მითითების გარეშეც მიაგებს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 7 და 8 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანიას შეწყვეტს. ამის შესახებ საგანგებო განცხადება პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ გააკეთა და პოლიტიკურ ოპონენტებს მათი მიბაძვისა და გმირთა ხსოვნისადმი პატივის მიგებისკენ მოუწოდა.

**ნიუსპრესი**

# ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 7 და 8 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანიას შეწყვეტს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 7 და 8 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანიას შეწყვეტს.

ამის შესახებ პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ, „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში საგანგებო განცხადება გააკეთა.



„პატივი უნდა მივაგოთ იმ გმირთა ხსოვნას, რომლებიც უცხო ქვეყნის აგრესიის წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებასა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს დაიღუპნენ. ისინი არიან გმირები, რომლებიც საქართველოს და თითოეულ ჩვენ თანამოქალაქეს იცავდნენ“ – აღნიშნა მაჭავარიანმა.

მისივე თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ის საკითხია, სადაც ყველა პოლიტიკური ძალა ერთიანი უნდა იყოს.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 7 და 8 აგვისტოს საარჩევნო კამპანია შეაჩეროს, მათ შორის ტელევიზიებში სარეკლამო რგოლების გაშვება, საარჩევნო ბუკლეტების დარიგება და მოქალაქეებთან საჯარო შეხვედრები. მიგვაჩნია, რომ ამ დროს ყველა პოლიტიკური ძალა ჩვენი გმირების ხსოვნისთვის პატივის მიგებით უნდა იყოს დაკავებული“ – აღნიშნა მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა.

ამასთან, მაჭავარიანმა პოლიტიკურ ოპონენტებს მოუწოდა და სთხოვა მიბაძონ მათ მაგალითს და 7 და 8 აგვისტოს საარჩევნო კამპანია დროებით შეაჩერონ.

8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან 4 წელი სრულდება, რასაც რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოყვა. იმავე წლის 26 აგვისტოს, რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ ოფიციალურად აღიარა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ, ნაურუმ და ვენესუელამ აღიარეს.

**ნიუსპრესი**

# ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბაღდათის მაჟორიტარ კანდიდატად კვლავ თემურ კოხოძე დაასახელა

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ბაღდათში კვლავ თემურ კოხოძე დაასახელა.



ბაქრაძემ კანდიდატი არწივიძეების ოჯახში წარადგინა და მასთან ერთად ოჯახური ტიპის საწარმო დაათვალიერა.

ბაქრაძის თქმით, მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობაა, რისთვისაც მსგავსი ტიპის საწარმოების განვითარებაა საჭირო.

„ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ რისი გაკეთება გვინდა სასოფლო სამეურნეო კუთხით – ესაა სამუშაო ადგილების შექმნა და სასოფლო– სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების ხელშეწყობა. ამაში მოსახლეობას ჩვენი კანდიდატიც დაეხმარება“ – აღნიშნა პარლამენტის სპიკერმა.

თემურ კოხოძე ამ მოწვევის პარლამენტის წევრია.

**ნიუსპრესი**

# „გამორიცხულია, საქართველოს მოსახლეობის 73% ნატოს წინააღმდეგი იყოს“

## რატომ არ სჯერა მოსახლეობას არჩევნების შედეგების

თამარ ნინიძე

**დამოუკიდებელი ექსპერტი გელა კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ პოლარიზებულ საზოგადოებაში, სადაც ნაცმოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვითარება სულ უფრო მეტად იძაბება, მესამე ცენტრი უნდა შეიქმნას დასავლური ტიპის პარტიებისგან, რომლებიც ამ დაძაბულ ფონს გაანეიტრალებენ. „ახალი თაობა“ გელა კვაჭანტირაძეს ესაუბრა.**

***— თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ დასავლური ორიენტაციის პარტიები უნდა გაერთიანდნენ, რადგან ეს ერთიანობა ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს გაერთიანება საქართველოში, სადაც პიროვნული ამბიციები მაღალია?***

— მესამე პოლიტიკური ცენტრის იდეა ახალი არ არის, ეს იდეა ცნობილია ევროპაში, სადაც ეს ხორციელდება ეკონომიკური მიმდინარეობის პროცესებში. 1999 წელს პირველად შემოვიტანეთ ეს იდეა საქართველოში, როცა მე ვიყავი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მაშინ გავერთიანდით ედპ, რესპუბლიკელები და მრეწველები. ამ იდეამ მაშინ დიდი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ახლა არჩევნებამდე ორი თვით ადრე პროცესები გამწვავდა და საშიში ხასიათი მიიღო, გამიჩნდა იდეა, ხომ არ მოვიდა დრო ეს დაძაბულობა დაბალანსდეს და გადავიდეს თანამშრომლობა კონსტრუქციულ ჭრილში. საზოგადოებას მესამე ცენტრი შესთავაზებს იმ ალტერნატივეს, რომელსაც ვერ ხედავს ორპოლუსიანი კონფრონტაციული საარჩევნო გარემოს პირობებში. ეს იყო იდეის ძირითადი მოტივაცია და არსი. თუ გაერთიანდებიან პრორუსული ძალები, ეს კიდევ უფრო გაამწვავებს პოლიტიკურ სპექტრში ურთიერთობებს. ბოლო დღეებში ვაკვირდები პროცესებს, მოვისმინე ქრისტიან-დემოკრატების განცხადებები, მათ ამ იდეისგან შორს უჭირავთ თავი. ეტყობა გამოქვეყნებული რეიტინგები ნახეს და შანსი გაუჩნდათ, რომ დამოუკიდებლად გადალახონ ბარიერი, ამან უბიძგათ, რომ დამოუკიდებლად გავიდნენ არჩევნებზე.

***— ქდმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ გაერთიანების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება გაამჟღავნა, მისი აზრით, ურეიტინგო პარტიები გაერთიანებას ვერაფერს მისცემენ. მაგალითად, თუ ათს მივუმატოთ ნული ისევ ათია, ათს რომ ექვსი მივუმატოთ, უკვე თექვსმეტია, ანუ მხარდამჭერები თუ დანარჩენ პარტიებს არ ჰყავთ, ქდმ მათთვის ლოკომოტივის ფუნქციას ვერ შეასრულებს და ვერ გაიყვანს პარლამენტში.***

— მე ეს კომენტარი არ წამიკითხავს, მაგრამ ეს კომენტარი მთლად კორექტულად არ მეჩვენება. აირაისა და ენდიაის კვლევებით მათი რეიტინგი ერთ შემთხვევაში იყო 3%, მეორე შემთხვევაში – 7%, ეს არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ქდმ აუცილებლად გადალახავს ბარიერს, ნულოვანი რეიტინგის პარტიებს რომ ვუწოდებთ სხვას, ეს უკვე კონფრონტაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. საქმე ის არ არის, რომ მაინცდამაინც ამ არჩევნებისთვის გაერთიანდეს ვინმე და გადალახოს ბარიერი, ფაქტია, რომ ბარიერს ყველა ვერ გადალახავს. აქ საუბარია უფრო მნიშვნელოვან საკითხზე, რომ ქვეყანაში მოიხსნას კონფრონტაციული ფონი. ხედავთ, რომ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, რუსეთს დაგეგმილი აქვს სექტემბერში სამხედრო მანევრები. რეალური საფრთხეა. ამ დროს დიდი კონფრონტაცია ქვეყნის შიგნით უზარმაზარი საფრთხის შემცველელია, ამის განეიტრალებაზეა საუბარი და არა იმაზე, ვინ გადალახავს ბარიერს. ენდიაიმ მონიტორინგის დასკვნები გამოაქვეყნა, კონფრონტაციამ მიაღწია კრიტიკულ ზღვარს და არ შეიძლება ასე გაგრძელება და ასევე ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადა, რომ დაძაბულობის ესკალაციამ შეიძლება გაუთვალსწინებელ შედეგებამდე მიიყვანოს საქართველო არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც.

***— არჩევნების შემდეგ ნაცნობი სურათი რომ წარმოვიდგინოთ, კოალიცია არასასურველი შედეგების გაგების შემდეგ ხმების დაცვის მოტივით ქუჩაში გამოიყვანს მომხრეებს. მესამე ცენტრის პარტიებმა კონფრონტაციის საპირისპიროდ რა უნდა გააკეთონ?***

— ორი სიტყვით ჯერ შევეხოთ იმას, რამდენად რეალურია არჩევნების შემდეგ დაძაბულობის ქუჩაში გადატანა. ამ დაძაბულობისკენ



საქმე მიდის აშკარად და ღიად იმიტომ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები არჩევნებამდეც აცხადებენ, რომ უკვე მოგებული აქვთ, გამარჯვებული არიან. არ ვიცი, რის საფუძველზე აცხადებენ, იმიტომ, რომ რა კვლევებზეც ხელი მიგვიწვდება, ვნახეთ, რომ სულაც არ არის ისე, რომ ვინმეს გარანტირებული ჰქონდეს არჩევნების მოგება. ეს არის წინასაარჩევნო ტრიუკი, რომელიც ხელს უწყობს უძლეველობის მითის შექმნას. ასეთი ტაქტიკაც საფრთხეს შეიცავს. იმ ხალხს, ვინც ჩართულია საარჩევნო პროცესში სჯერა, რომ გარანტირებული აქვს მოგება. თუ ვერ მიიღებენ იმ შედეგს, რასაც ლიდერები უწინასწარმეტყველებენ, გულწრფელად იქნებიან აღშფოთებული. ამ განწყობას კი რა მოჰყვება კაცმა არ იცის. უკეთესი იქნებოდა უფრო რეალისტური განცხადებები გააკეთონ.

***— თუ მაინც მოხდა ხმების გაყალბება?***

— რასაკვირველია, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა და სხვა ქყეყნებშიც სამართლიანი არჩევნების პრობლემა დგას, ამის საფრთხე ყოველთვის არსებობს, როგორი შედეგიც უნდა დადგეს საზოგადოების დიდ ნაწილს სერიოზული პრეტენზიები ექნება არჩევნების ლეგიტიმურობის მიმართ.

***— იმ შემთხვევაშიც, კი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები დადებენ დასკვნას, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდა, საზოგადოებას მაინც ექნება პრეტენზიები?***

— ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებია აირაი და ენდიაი, ბოლო ოცი წელია დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და პოლიტიკური სპექტრი გვყავს, ეს ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციებია. შეუცდომლები ისინიც არ არიან, მაგრამ მათ ავტორიტეტში ეჭვი შეტანილია და ამაზე ღიად საუბრობენ კოალიციაში. სხვას კიდევ ვის უნდა დაეყრდნოს „ქართული ოცნება“ და ვისი შეფასება უნდა დაიჯეროს თუ არჩევნებში ხმების უმრავლესობას ვერ მიიღებს, გაუგებარია. მესამე ცენტრის პარტიებმა მედიატორის მისია უნდა აიღონ და მიუთითონ ხელისუფლებას, სად ტყუის ის და მიუთითონ ოპოზიციასაც სად უშვებს ის შეცდომას. ეს მესამე ზომიერი არჩევანია და არა ქვის სროლა და ერთმანეთის ლანძღვა.

***— ვეჭვობ, რომ მათ მედიატორის როლი შეასრულონ, აპრიორი „ქართული ოცნება“ და სხვა ოპოზიციური ძალები აცხადებენ, რომ ქდმ, ედპ, მემარჯვენეები ხელისუფლების თამაშს თამაშობენ და გარიგებული არიან მასთან. ამაზე რას იტყვით?***

— ეს უფრო ის ფორმულირებაა, ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია. რას ნიშნავს პოლიტიკაში, ის რომ ვინმე ვინმესთან თანამშრომლობს. ჩვენთან ისეთი პოლიტიკური კულტურაა დამკვიდრებული, რომ თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, ეს არის ღალატი და ქვეყნის დაქცევა ან თუ ვინმე პრორუსულ ძალასთან თანამშრომლობს, ეს არის კატასტროფა. რეალურად ცივილიზებული პოლიტიკური პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთობები, შეთანხმებები, გარიგებები კარგი გაგებით. ყველა დანარჩენი თუ ღუპავს საქართველოს, უნდა გადაარჩინოს მხოლოდ იმ ერთადერთმა. ეს არის თვითონ არაჯანსაღი დამოკიდებულება.

***— 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოვიდა საპროტესტო აქციებზე, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კი ალასანიამ ხელი ჩამოართვა უგულავას ანუ აღიარა კონკურენტის გამარჯვება. ამ არჩევნების შემდეგაც ალასანიას მაგალითი უნდა აიღონ პოლიტიკოსებმა და აღიარონ კონკურენტის გამარჯვება?***

— მე ვფიქრობ, რომ მაშინ ალასანია სწორად მოიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ალასანიამ იცოდა, ის არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა, ის ამ პროცესს ხედავდა როგორც პროცესს და არა როგორც ერთჯერად აქტს. თუ საარჩევნო პროცესის გარეთ არ დარჩება პოლიტიკური პარტია და ცივილიზებულად იმოქმედებს, ეს მისასალმებელია. თუმცა არავინ შეეგუება დარღვევებს, რომელიც ყოველთვის ხდებოდა ჩვენს უახლეს ისტორიაში. ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება ქვეყნისა და ამ მთლიანი პროცესისთვის თუნდაც რომ შეიქმნას დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭო, რომელსაც ენდობა საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობაც, რომელიც შეეცდება ამ პროცესების მონიტორინგს, მან თავისი დასკვნა დადოს და წონადი სიტყვა თქვას არჩევნების შემდეგ.

***— ვინ გეგულებათ ასეთ არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციებად იმ პირობებში, როცა მკვეთრად პოლარიზებულია სამოქალაქო საზოგადოება, მედია, ექსპერტები, ზოგი აშკარად მხარს უჭერს ნაცმოძრაობას, ზოგიც ოპოზიციის მიმართ სიმპატიებს დაუფარავად ამჟღავნებს?***

— ეს, გეთანხმებით, რთული ამოცანაა, თუ საქართველოში არ მოიძებნა მეტნაკლებად ობიექტური რამდენიმე ადამიანი, რომელსაც დაუჯერებს საზოგადოება, მაშინ საერთოდ დავღუპულვართ. თუ ყველა ყველას მტერი ვართ, დავიღუპებით. ეს საბჭო უნდა შეარჩიოს საზოგადოებამ. სამოქალაქო საზოგადოება თვითონ უნდა ასრულებდეს მედიატორის ფუნქციას და ვერ ასრულებს, ამ დროს ისეთი ჯგუფი უნდა შეირჩეს, რომელსაც ჯერ კიდევ ავტორიტეტი აქვს, არ დაუკარგავს ნდობის მანდატი.

***— ენდიაი და აირაი ახსენეთ, რამდენად ობიექტურადაც უნდა მოგვეჩვენოს მათი კვლევები, ისიც ხომ ფაქტია, რომ არის შიშის ფაქტორი, კითხვაზე ვის აძლევთ ხმას, ვინ მოგწონთ, ადამიანები გულწრფელ პასუხს ვერ აძლევენ. გულში შეიძლება ოპოზიცია მოსწონდეთ და ხმამაღლა კი ნაცმოძრაობას ასახელებდნენ. ამიტომ მაინცდამაინც ობიექტური ეს კვლევებიც არ არის.***

— გეთანხმებით, რომ ეს კვლევებიც პირობითია, სოციოლოგია არ არის ზუსტი მეცნიერება, მისი შედეგები დამოკიდებულია იმაზე, როგორ და რა კუთხით დასვამ კითხვას. მანიპულირების დიდი საშუალებები არსებობს. შიშის გამო შეიძლება ადამიანების დიდი ნაწილი არ იძლეოდეს გულწრფელ პასუხს. ეს უფრო მგონია მიზეზად და არა ის, რომ აირაი და ენდიაი აყალბებენ შედეგებს. ამ ორგანიზაციებსაც ალბათ აქვთ სიმპათიები რომელიმე პარტიის მიმართ, პოლიტიკა ასეთია მთელ მსოფლიოში.

***— სააკაშვილი ბოლო დროს ხშირად აცხადებს, რომ ვიღაცები ფეხებში არ უნდა გაებლანდონ და მხოლოდ ნაცმოძრაობის პრეროგატივაა რეგიონებში წინასაარჩევნო აგიტაცია და სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრა. იქნება შეაფასოთ, რასთან გვაქვს საქმე და რამდენად ობიექტურია ასეთი გამონათქვამები?***

— ეს არის წინასაარჩევნო რიტორიკა და ტრიუკები, ამაში ბევრს სცოდავენ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, რაღა დაგიმალოთ. გამონათქვამები არის არაკორექტული, არასწორი. ამ პატარ-პატარა ცოდვებისგან საბოლოო ჯამში იქმნება ისეთი სურათი, რომ არის უკომპრომისო და ურთიერთშეუწყნარებლობის გარემო. ჩვენი მიზანი ის ხომ არ არის, რომ ვიღაცას ვაჩვენოთ, რომ მარტო ჩვენ ვართ მაგრები და სხვები უნდა დავხოცოთ, ვინც მართალი არ არის. ჩვენთან პოლიტიკური კულტურა დაბალია და ამას შეგნებულად იყენებს ყველა, ვისაც არ ეზარება. 1999 წელს ვცადეთ ედპ-მ წესიერი არჩევნების ჩატარება, შტაბის უფროსი ვიყავი კოალიციისა, ჩვენ პატიოსნად წავაგეთ არჩევნები. მოქკავშირმა პატიოსნად გაგვიყალბა არჩევნები და ცინიკურად გვაჩვენეს ეს შედეგები. წინასწარ დაგვპირდნენ ასე დაგემართებათო და აასრულეს კიდეც ეს დაპირება. ჩვენ მაინც რომანტიკოსები აღმოვჩნდით მაშინ და გვჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა დაწყებულიყო ნორმალური საარჩევნო პროცესი ქვეყანაში. მკაცრად დავისაჯეთ. ისიც ფაქტია, რომ ყველაზე ძლერი ძალა არ ვიყავით იმ არჩევნებში, მაგრამ არც ისე იყო საქმე, რა შედეგებიც დაიდო გაყალბებული არჩევნების შემდეგ.

***— 2003 წლამდეც და შემდეგაც ივანიშვილი ცნობილი იყო როგორც ქველმოქმედი და ამავე დროს ის იყო მილიარდერი, რომელიც აფინანსებდა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას და უხდიდა მათ ხელფასებს და აფინანსებდა რეფორმებს. მაშინ ეს არ აღიქმებოდა როგორც რუსული ფულის ხარჯვა ქართული სახელმწიფოს განვითარების საქმეში. ბიზნესი მას მაშინაც ჰქონდა რუსეთში. ახლა რატომ არის მომგებიანი ამ კაცის წარმოჩენა როგორც რუსული პროექტისა და რეალურად არის თუ არა ეს ასე?***

— წინასაარჩევნო პერიოდში ყველა პარტიას თავისი ტაქტიკა და სტრატეგია გააჩნია. არის საკითხები, რომელიც გამოდის საარჩევნო ტაქტიკიდან და სტრატეგიიდან, მე არ მაქვს არანაირი საბუთი იმისა, რომ ივანიშვილი მართლა რუსეთის კაცია, ან მართლა პატიოსანი კაცია და არანაირი შეხება არა აქვს რუსეთთან და თავგადაკლული პატრიოტია. ამის კონკრეტული ფაქტია არავის აქვს, მაგრამ ექსპერტები და ხალხი ასე მსჯელობს: მნიშვნელობა არა აქვს იმას, გულში რას ფიქრობს ის, მე უნდა შევაფასო ვითარება შედეგის მიხედვით. რას მაძლევს შედეგი? დღეს ასეთი ვითარებაა, საქართველოში ხელისუფლების შეცვლა აინტერესებს ოპოზიციას და გარე ძალას. ეს ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს. ეს შეიძლება შემთხვევითია, შეიძლება მიზანმიმართული. მაგრამ მარტო ეს საბუთად ვერ გამოდგება. ხიბლი აქვს, მლიარდერია, ქართველია, ამხელა დონეზე გავიდა, მოდის და მიმზიდველ პროგრამებს გვთავაზობს. ხელისუფლებასაც რომ ეხმარებოდა, ამას მინუსში კი არ ვუთვლი, პლუსში ვუთვლი. თუმცა გვახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როცა ოპოზიციის მიტინგი სასტიკად იქნა დარბეული, მერე საგანგებო მგომარეობა გამოცხადდა, ამ დროს ივანიშვილი იმ ბანაკში იყო. სად იყო მაშინ მისი სამარტლიანობა და აღშფოთება? სამი წელი არ არის საჭირო იმისათვის, რომ კაცი აღშფოთდეს. რა იყო ივანიშვილის მთავარი მოტივაცია, უცებ რატომ შეიცვალა პოზიცია და რატომ აღარ დარჩა საფრანგეთში ემიგრაციაში?

***— პოლიტიკური კვლევების ცენტრმა ჩაატარა გამოკითხვები თბილისის რამდენიმე რაიონში, ასეთი შედეგები იყო: 73,83% ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგია, 1,28% მომხრეა და 7,1%-ს უჭირს პასუხის გაცემა. ასეთი განწყობილებები ხელისუფლების ბრალი ხომ არ არის?***

— ეს შედეგები ჩემთვის არადამაჯერებელია. გამორიცხულია, რომ საქართველოში 73% ნატოს წინააღმდეგი იყოს. დარწმუნებული ვარ ეს შედეგი რეალობას არ შეესაბამება, არ ვიცი, რომელი პარტიის ტრიუკია ეს, ბოლო დროს რამდენიმე სანდო სოციოლოგია მინახავს, იქ 70% ნატოს მომხრეა. ამ თემით სპეკულირება არ ვიცი, ვის სჭირდება. სარეკლამო რგოლებს ატრიალებენ, არ გვინდა და არ გვჭირდება ნატო, მახსოვს გონებანათელი ოპოზიციონერი კუკავა როგორ პოზიციაზე იდგა ადრე, ახლა მოატრიალა რომ იტყვიან 180 გრადუსით ცხენები და ამბობს, ნატო არ გვინდა, რუსეთი გვინდაო. ამას ვერ დავეთანხმები. ჩვენი გადარჩენა არის დასავლეთში. საზოგადოების უდიდესი ნაწილიც დარწმუნებულია, რომ დასავლეთისკენ უნდა ვიაროთ.

# ნიკოლოზ რურუა იმერეთში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა საქმიანი ვიზიტით იმერეთში ჩავიდა. მინისტრის სტუმრობა იმერეთში კლასიკოსი მწერლის, დავით კლდიაშვილის 150 წლის იუბილეს დაუკავშირდა, სწორედ ამიტომ იგი პირველ რიგში ზედა სიმონეთში დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს შეხვდა. საუბარი შეეხო უახლოეს მომავალში დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებს და თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდას. მუზეუმის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა, რომ დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა, ხოლო კლასიკოსი მწერლის 150 წლის იუბილეს აღნიშვნა 2012 წლის სექტემბერში დაიგეგმა.

ზედა სიმონეთიდან ნიკოლოზ რურუა ბაღდათში გადავიდა, სადაც რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში კულტურის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა. ცენტრს გადაეცა საკონცერტო განათება-გახმოვანების აპარატურა, სერტიფიცირებული ანსამბლი ,,ბაღდათი" მინისტრმა მუსიკალური ინსტრუმენტებით დაასაჩუქრა, ხოლო სახელოვნებო სკოლის პედაგოგებს ნიკოლოზ რურუამ ,,დამსახურებული პედაგოგის" წოდება მიანიჭა და სერთიფიკატები გადასცა.

ნიკოლოზ რურუა იმერეთში ივნისის თვეშიც იმყოფებოდა. ამ ვიზიტის დროს მინისტრი ქუთაისის ისტორიულ მუზეუმს ეწვია და მის თანამშრომლებს მუზეუმის 100 წლის იუბილე მიულოცა. საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ქალაქში სხვადასხვა ღონისძიება მოეწყო. გაიხსნა გამოფენა „მუზეუმი არსი", სადაც მუზეუმის დაარსებიდან დღემდე ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალა გამოიფინა. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ქალაქსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოჩენილი 2.000-ზე მეტი უნიკალური ექსპონატია დაცული. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა და ჩატარდა საზეიმო საიუბილეო სხდომაც, რომელსაც ნიკოლოზ რურუაც დაესწრო. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი თანამშრომლებს შეხვდა და მუზეუმს დაფინანსების გაზრდას და ახალი პროექტების განხორციელებას დაჰპირდა. კულტურის სამინისტრო სხვა მიმართულებებითაც აქტიურად მუშაობს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მემორანდუმი ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან გააფორმა. მემორანდუმი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაფორმდა, ითვალისწინებს საქართველოსა და ბულგარეთს შორის კულტურის, ხელოვნების, კულტურული მემკვიდრე-



ობის, ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ვეჟდი ლეტიფ რაშიდოვმა. ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ვეჟდი ლეტიფ რაშიდოვი თბილისში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა, რომლის ფარგლებშიც მინისტრმა ეროვნული მუზეუმის გალერეა დაათვალიერა, გამგზავრებამდე კი მცხეთას ესტუმრა.

ნიკოლოზ რურუას უწყების მხარდაჭერით განხორციელდა მულტიეთნიკური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ" – „კულტურათა დიალოგი", რომელსაც სახელმწიფო კანცელარიის დარბაზმა უმასპინძლა. ვიცე-პრემიერის, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ჩატარებულ ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისში მცხოვრები და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები და ფოლკლორული ანსამბლები – სულ 175 ბავშვი. ვიცე-პრემიერმა ეკა ტყეშელაშვილმა სამახსოვრო დიპლომები გადასცა მუსიკალური სკოლის დირექტორებს, პედაგოგებსა და ფესტივალის სოლისტებს. ღონისძიება კულტურის სამინისტროს პროგრამის „ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის" ფარგლებში მოეწყო და მასში მონაწილე ყველა კოლექტივმა სამინისტროსგან საჩუქრად მიიღო 3 ფლეიერი და სიგელები. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ 11 პედაგოგს, რომლებიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არიან, მიანიჭა დამსახურებული პედაგოგის წოდება, გადასცა მათ საპატიო სიგელები და ერთჯერადი ფულადი პრემიები 300 ლარის ოდენობით. კონცერტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერი ეკა ტყეშელაშვილი, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თამარ კინწურაშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილი ესწრებოდნენ. ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ" – „კულტურათა დიალოგი" ერთი წლის წინ, მარნეულში რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

ამავე საკითხზე გაიმართა ღონისძიება „მრავალეროვანი თბილისი", რომლის ორგანიზატორიც არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ქალთა საბჭო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყვნენ. ღონისძიება ითვალისწინებდა ეროვნული უმცირესობების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენის მოწყობას. სახვითი ხელოვნების ნიმუშები გალერეა „უნივერსში" გამოიფინა, ხოლო ფოლკლორულს საღამოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრი-სტუდიამ „მოდი-ნახე" უმასპინძლა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პროექტის – „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის" ფარგლებში სახელმწიფო და დარგობრივი სტრუქტურების წარმომადგენლებისა და პროექტის ექსპერტების პირველი სამუშაო შეხვედრა. პროექტი ხორციელდება ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში და მიზნად ისახავს გააუმჯობესოს მემკვიდრეობის მართვის გარემო, რეგიონალური თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მემკვიდრეობის სექტორის მმართველობის დახვეწას. პროექტი გულისხმობს რეგიონულ თანამშრომლობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანასთან და ხორციელდება საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში. პროექტის პარტნიორები არიან ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი, კომპანია „არქიტექტურა და პრესტიჟი", იკომოს სომხეთი და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი. პროექტის ასოცირებული პარტნიორები არიან კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი, ერებუნის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი (სომხეთი) და უკრაინის ძეგლთა დაცვისა და კვლევის ინსტიტუტი. პროექტის მხარდამჭერია პოლონეთის საელჩო საქართველოში და ბრიტანეთის საბჭო. 2008 წლის დეკემბერში ევრო კომისიამ მიიღო კომუნიკაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ, რომლის მიხედვით, „ევრო კავშირი განსაკუთრებით აღიარებს კულტურული თანამშრომლობისა და ინტერკულტურული დიალოგის ღირებულებას, რომელიც საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ევრო კომისია ხაზს უსვამს კულტურული თანამშრომლობის მნიშვნელობას პოლიტიკური პროცესებისა და გამოწვევების საპასუხოდ" აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ოფიციალურად 2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე დაიწყო. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გამოაცხადა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამა რეგიონში კულტურის სექტორის მხარდასაჭერად და რეფორმების, ტოლერანტულობის და სოციალური ერთობის გაძლიერებისათვის კულტურის როლის გასაზრდელად. ეს პროექტი ევროკავშირის მიერ დაფინანსდა.

ევროკავშირის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით კი, აღმოსავლეთ პარტნიორობის მეოთხე პლატფორმის „ხალხთა შორის კონტაქტის" ფარგლებში, მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრის მიზანს ქვეყნის კულტურის სფეროში არსებული სიტუაციის შეფასება წარმოადგენდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და შესაძლებლობების ამაღლების ხელშემწყობი განყოფილების ექსპერტები შეხვდნენ საქართველოს კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

აღნიშნული ტიპის მრგვალი მაგიდის განხორციელდება დაიგეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანაში – სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

# აფხაზეთის კაპელა კონცერტებს იტალიაში გამართავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ში, „არტეკის" საერთაშორისო საბავშვო ცენტრში გაიმართება.

დევნილი მოზარდები უკრაინაში თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან უკვე გაემგზავრნენ. ბავშვები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა თეიმურაზ მაისურაძემ პირადად გააცილა. ფესტივალზე ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ მსოფლიოს ხალხთა კულტურას და თავად წარმოაჩინონ საქართველოს კულტურული ტრადიციები. ბავშვები ასევე ჩაერთვებიან ერთა ლიგის მესამე გენერალური ასამბლეის მუშაობაში, სადაც მსოფლიოს მრავალ დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებში ბავშვთა უფლებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

არტეკში საქართველოდან ყოველთვის ჩადიან ქართველი ბავშვები. გასულ წელს არტეკს მარიამ კახელიშვილი და ანა ხანჩალიანი ესტუმრნენ, სადაც კონცერტებიც გამართეს და იქაური მსმენელიც შოკირებული დატოვეს. ამჯერად კი არტეკს აფხაზეთიდან დევნილმა ბავშვებმა მიაშურეს.

თბილისის კულტურული ცენტრის მხარდაჭერით კი მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში „მუზა" გაიმართა ფესტივალი „ჩვენ დევნილები მშობლიური აფხაზეთიდან, ვართ მლტოლვილები ბედნიერი საქართველოსკენ", რომელიც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით მოეწყო. ფესტივალში მონაწილეობას სხვადასხვა სახელოვნებო სფეროში მოღვაწე მოზარდები იღებდნენ. ღონისძიება ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი 2" ორგანიზებით ჩატარდა.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი თეიმურაზ მაისურაძე განმარტავს, მსგავსი ღონისძიებები იმაზე ხშირად უნდა ტარდებოდეს, ვიდრე ეს რეალურად ხდება, რადგან სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში, სადაც აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები სწავლობენ, არაერთი ნიჭიერი მოზარდია, რომელსაც ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა და შესაბამისი ხელშეწყობა სჭირდება.


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში". მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი" გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## გიორგი კიკნაძე: ზენიტმა ყენია დაკარგა

თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა, შემდეგში მწვრთნელმა და ლევან ყენიას ბიძამ – გიორგი კიკნაძემ რუსულ მედიაში კომენტარი გააკეთა, სადაც 21 წლის ნახევარმცველის „ზენიტში“ გატარებულ პერიოდს შეეხო და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ყენიას წინადადებები ჰოლანდიიდან და ბელგიიდან აქვს.

შეგახსენებთ, რომ ყენიას თითქოს გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი სანკტპეტერბურგულ კლუბთან, მაგრამ ეს შეთანხმება არ შედგა და ლევანი ახლა გერმანიაშია.

– ყენიამ სანკტ-პეტერბურგი უკვე დატოვა. რატომ განვითარდა მოვლენები ასე, არ ვიცი. „ზენიტის“ მხრიდან ოფიციალურ კომენტარს ველით, მაგრამ ამაოდ. „ზენიტს“ ყენიასთვის წინასწარი კონტრაქტი უკვე გაფორმებული ჰქონდა. დაჰპირდა თუ არა ლევანს რამეს დიუკოვი? ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ვიცი, რომ ყენიას თამაში ნახეს და მასთან 1 პლუს 2 სისტემით კონტრაქტის გაფორმებაზე შეთანხმდნენ. ლევანი პეტერბურგში ჩავიდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. დეტალები ზუს-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## დათუნაშვილი მედლამდე აზერბაიჯანელმა და სომეხმა არ მიუშვეს

ქართველი მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილი დაძაბულ მეოთხედფინალში დამარცხდა აზერბაიჯანელ ერმინ აჰმადოვთან.

74 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 21 წლის დათუნაშვილმა ორი ეტაპი ისე გაიარა, რომ ქულა არ დაუკარგავს, ორ-ორი სეტი მოუგო სამხრეთკორეელ და ამერიკელ მოწინააღმდეგეებს. მეოთხედფინალში აზერბაიჯანელთა შეხვედრაც კარგად ჩაატარა, პირველ სეტში ჩოქბჯენში კარგად დაიცვა თავი, მაგრამ მეორე სეტში ასევე ჩოქბჯენში ახლა მას მოუხდა აქტიურობა და ქულები დაკარგა, რითაც სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა.

მესამე გადამწყვეტ სეტში აზერბაიჯანელმა ქართველს ილეთი გაუკეთა და 1:0 დაწინაურდა. დათუნაშვილს თითქმის ერთი წუთი ჰქონდა დარჩენილი და მან 2-წუთიანი სეტის ბოლო წამებზე კარგი ილეთი შეასრულა, მაგრამ ხალიჩიდან თითქმის გადაყვანილმა და შებოჭლმა აზერბაიჯანემა მოახერხა კონტრილეთის შესრულება და იმარჯვა.

დათუნაშვილს ჯერ კიდევ რჩებოდა ბრინჯაოს მედლის შანსი, თუ აჰმადოვი ნახევარფინალში იმარჯვებდა, ქართველი რეპეშაჟში გადაერთვებოდა, მაგრამ აზრბაიჯანელი მოჭიდავე სომეხმა არსენ ჯულფალაკიანმა წააქცია და მორიგი უმედლო დღე ჩავატარეთ.

## ბოლტი ოლიმპიური რეკორდით გაჩემპიონდა

ლონდონის ოლიმპიური თამაშების კულმინაცია იყო კაცთა შორის 100 მეტრზე გარბენი, რომელიც 5 აგვისტოს ღამით შედგა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა უსაინ ბოლტმა პეკინში მოპოვებული ტიტული დაიცვა და თავისივე ოლიმპიური რეკორდი გააუმჯობესა.



შემადგენლობით ეს იყო ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გარბენი მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში, სადაც არაერთი ტიტულოვანი ვარსკვლავი მონაწილეობდა და მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი უსაინ ბოლტი როგორც არასდროს ისე გრძნობდა კონკურენციას.

მონაწილენი:

უსაინ ბოლტი – მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდის ავტორი.

მეორე იამაიკელი იოჰან ბლეიკი – ბლეიკმა 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ისარგებლა ბოლტის ფალსტარტით და დისკვალიფიკაციით და მოფლიოს ჩემპიონის ტიტული მას შეხვდა.

ამერიკელი ტაისონ გეი – 2007 წლის მსოფლიოს სამმაგი ჩემპიონი 100, 200 და 4-100 მეტრებზე გარბენში, რომელსაც 100 მეტრი ბოლტის შემდეგ ყველაზე სწრაფად გაურბენია. 2009 წელს მან 9.69 შედეგი აჩვენა და მაშინ ეს დრო ჩამორჩებოდა მხოლოდ ბოლტის ახალ რეკორდს, 9.58 წამს.

მეორე ამერიკელი ჯასტინ გეტლინი – 2004 წლის ათენის ოლიმპიადის და 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც 2006 წელს დოპინგზე ჩავარდა და 2008 წლის პეკინის ოლიმპიადა გამოტოვა, მაგრამ აქტიურ სპორტში დაბრუნება შეძლო და ლონდონის ოლიმპიადისთვის კარგ ფორმაშიც შევიდა. მან ნახევარფინალში საუკეთესო დრო აჩვენა – 9,82 წამი.

კიდევ ერთი იამაიკელი ასაფა პაუელი – მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, რომელიც ბოლტის გამოჩენის შემდეგ იამაიკელ სპრინტერებში ჯერ მეორე კაცად იქცა, შემდეგ კი ბლეიკმა მესამეზე დააქვეითა. პაუელი ბოლო წლებში ხშირად ტრავმიანობდა.

ფინალის დანარჩენი სამი მონაწილე – ამერიკელი რაიან ბეილი, ტრინიდადელი რიჩარდ ტომპსონი (პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი) და ჰოლანდიელი ჩურანდი მარტინა უფრო სტატისტები იყვნენ და მათი სამეულში მოხვედრა სხვათა ფეხის დაცდენაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ სამივენი ძალზე სწრაფი მორბენლები არიან და ფინალის სურათი არ გაუფუჭებიათ.

**ფინალი:**

100 მეტრზე სირბილში ლონდონის ოლიმპიადის ფინალი აქამდე გამართულ ფინალებში საშუალოდ ყველაზე სწრაფი გამოვიდა. პაუელის გარდა ყველა მონაწილე ამოვიდა 10 წამიდან, რაც ფანტასტიკურ შედეგად ჩაითვლება. პაუელმაც სწრაფად ირბინა, 50 მეტრი პირველ სამეულში იყო, მაგრამ ტრავმა მიიღო და დისტანციის მეორე ნახევარში ერთბაშად ჩამორჩა.

უსაინ ბოლტი ჯერ სხვათა მხარდამხარ მირბოდა, მაგრამ დაახლოებით 60 მეტრის შემდეგ ისე დაწინაურდა, რომ ცხადი გახდა, ველარავინ დაეწეოდა. საბოლოოდ მან 100 მეტრი 9,63 წამში გაირბინა და თავისივე მსოფლიო რეკორდამდე 0,05 წამი დააკლდა. ამაზე სწრაფად მან მხოლოდ ერთხელ, 2009 წელს ბერლინის მსოფლიოს ჩემპიონატზე ირბინა, დანარჩენი მსოფლიოსთვის კი ეს 9,63 წამიც მიუწვდომელია.

ბოლტს ყველაზე უფრო ისევ მისი უმცროსი თანამემამულე ბლეიკი გაუძალიანდა, რომელმაც 9,75 წამით პირადი რეკორდი დაამყარა. ხოლო ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა ორ ამერიკელს – გეისა და გეტლინს შორის გაიმართა და ამ უკანასკნელმა 0,01 წამით, ანუ თავის ერთი მოძრაობით აჯობა.

ამგვარად უსაინ ბოლტმა პეკინში მოპოვებულ სამ ოქროს ლონდონში ერთი შემატა. მან 0,05 წამით გააუმჯობესა პეკინში დამყარებული თავისივე ოლიმპიური რეკორდი. ამ ოლიმპიადაზე იგი ასევე იბრძოლებს კიდევ ორი ოქროსთვის – 200 მეტრზე და 4-100 მეტრზე ესტაფეტაზე ჩემპიონობისთვის.

## მიურეი და უილიამსები

ბრიტანეთს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ჰყოლია უიმბლდონის პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის გამარჯვებული. სამაგიეროდ ჰყავს ოლიმპიური ჩემპიონი ჩოგბურთში – ენდი მიურეი, რომელმაც სწორედ უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე დაამარცხა შვეიცარიელი როჯერ ფედერერი.

ოლიმპიადის კაცთა საჩოგბურთო ტურნირის ფინალი წლევანდელი უიმბლდონის ფინალის გამეორება გამოვიდა, იმ განსხვავებით, რომ ამ ჯერზე მიურეიმ აჯობა ფედერერს. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა ყველასთვის მოულოდნელად ძალზე იოლად 6:2, 6:1, 6:4 დაამარცხა პირველი ჩოგანი.

25 წლის ბრიტანელმა ჩოგბურთელმა სულ ექვსი მოწინააღმდეგე გაიარა და მხოლოდ მესამე წრეში დათმო ერთი სეტი კვიპროსელ მარკოს ბაღდატისთან, ნახევარფინალში კი, ისევე როგორც უიმბლდონზე, 7:5, 7:5 აჯობა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს.

ჯოკოვიჩმა კი, რომელიც წელიწადზე მეტხანს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად ითვლებოდა ოლიმპიური ბრინჯაოსთვის მატჩი წააგო არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროსთან. აღსანიშნავია, რომ არგენტინისთვის ეს პირველი მედალია ოლიმპიადაზე.

მიურეის კარგი შანსი ჰქონდა, მეორე ოქროც მოეპოვებინა. იგი 18 წლის ლაურა რობსონთან ერთად შერეულ წყვილთა ფინალშიც გავიდა. ეს სახეობა პირველად შეიტანეს ოლიმპიადის საჩოგბურთო პროგრამაში. ფინალში მიურეი და რობინსონი ბელარუსებს, მაქს მირნისა და ქალთა შორის მსოფლიოს პირველ ჩოგან ვიქტორია აზარენკას დუეტს შეხვდნენ.

თანაბარ ბრძოლაში ბრიტანელებმა და ბელარუსებმა თითო სეტი გაცვალეს, შემდეგ კი დაინიშნა ტაიბრეიკი (10 ქულამდე), სადაც აზარენკამ და მირნიმ დრამატულ ბრძოლაში 10:8 იმარჯვეს.

ლონდონის ოლიმპიადაზე ქალთა საჩოგბურთო ტურნირები ამერიკელი დების – სერენა და ვინუს უილიამსების დომინაციით ჩათამაშდა. სერენამ ერთეულთა თანრიგში იმარჯვა, ხოლო მეორე ოქრო ვინუსთან ერთად წყვილებში მოიპოვა.

2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ვინუსი ლონდონში ერთეულთა თანრიგში მესამე რაუნდამდე მივიდა, მისმა უმცროსმა დამ სერენამ კი ბოლომდე სეტისწაუგებლად იარა, მეოთხედფინალში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი 6:0, 6:3 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში მოქმედ პირველ ნომერს, ბელარუს ვიქტორია აზერნკას 6:1, 6:2 მოუგო.

სერენა ფინალშიც ძლიერ მოწინააღმდეგეს და კიდევ ერთ ყოფილ პირველ ჩოგანს, რუს მარია შარაპოვას შეხვდა და ფაქტობრივად შანსი არ დაუტოვა – 6:0, 6:1 დაამარცხა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში აზარენკამ რუსი მარია კირილენკო ორ სეტში დაამარცხა.

წყვილთა თანრიგში სერენა და ვინუს უილიამსება ასევე სეტის წაუგებლად მიატანეს ფინალს, სადაც ჩეხ გოგონათა დუეტი – ანდრეა ჰლავაჩკოვა და ლუსი ჰრადეცკა 6:4, 6:4 დაამარცხეს.

სერენასთვის ერთეულთა თანრიგში ეს პირველი ოლიმპიური ოქროა, ხოლო წყვილთა თანრიგში მან და ვინუსმა 2000 წელს სიდნეიში და 2008 წელს პეკინშიც იმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ სერენა უილიამსმა ამ კორტზე თვენახევრის წინ „უიმბლდონის“ სუპერტურნირი კარიერაში მეხუთედ მოიგო. ამ კორტზე „უიმბლდონი“ ასევე ხუთჯერ აქვს მოგებული ვინუსსაც.

კაცთა წყვილებში აშშ-ს კიდევ ერთი ოქრო მოუპოვა ძმების, ბობ და მარკ ბრაიანების დუეტმა, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიოში საუკეთესო წყვილად ითვლება.

## ზესტაფონი გერმანელით ივსება

„ზესტაფონს“ 28 წლის გერმანელი ნახევარმცველი პატრიკ მილხრაუმი შეუერთდა. როგორც შევიტყვეთ, ის უკვე გუნდთან ერთადაა და სავარაუდოდ, მალე კონტრაქტსაც გააფორმებს.

მილხრაუმი პირველი გერმანელი ფეხბურთელი იქნება, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს. თუ არ ჩავთვლით განელ გერმანულპასპორტიან ფორვარდ ნანა ეშუნს.

პატრიკ მილხრაუმს გერმანიის 18, 19, 20 და 21-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია.

საკლუბო კარიერა კი ასეთია: „შტუტგარტერ კიკერსი“ (2000-04, 45 მატჩი, 4 გოლი), „მიუნხენ 1860“ (2004-07, 66 მატჩი, 7 გოლი), „ალემანია“ (2007-10, 76 მატჩი, 10 გოლი), აუე (2010-11, 6 მატჩი), „კარლსრუე“ (2011-12, 9 მატჩი).

როგორც ხედავთ, მილხრაუმი ბოლო სეზონში ალექსანდრე იაშვილის თანაგუნდელი იყო „კარლსრუეში“, რომელიც მესამე ლიგაში გავარდა. ზაფხულში კი გერმანელი თავისუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კოტე ტუღუში: საკონტროლო მატჩებში მოგებაზე მეტად სხვა რამ ფასობს

საქართველოს ნაკრებმა ავსტრიასთან საკონტროლო მატჩით დაასრულა ევროპული შეკრება. 17 ივლისიდან ჩვენი ეროვნული გუნდი უცხოეთში იმყოფებოდა და ავსტრიასა და ესტონეთში 4 საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ხვალიდან საქართველოს ნაკრები თბილისში განაგრძობს შეკრებას და 7-9 აგვისტოს სპორტის სასახლეში 3 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს ესტონეთის, ბელარუსისა და უკრაინის გუნდებთან.

ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ კოტე ტუღუშთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვრდზე გამოქვეყნდა.

– რის გამო დამარცხდით ავსტრიასთან?

– შესუსტებული შემადგენლობით ვთამაშობდით, თანაც მთავარი აქცენტი გამარჯვებაზე არ გაგვიკეთებია. ჩვენი თვითმიზანი არ იყო ავსტრიის დამარცხება. გვსურდა სათამაშო კომპონენტების სრულყოფა, გუნდის შეთამაშება და კომბინაციების დამუშავება. საამისოდ ეს და ყველა გასული მატჩი სათანადოდ გამოვიყენეთ. თუნდაც ამ წაგებებიდანაც საჭირო გაკვეთილი მივიღეთ, საშუალება მოგვეცა, საჭირო დასკვნები გამოგვეტანა, რასაც სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებთ.

– შესუსტებული შემადგენლობით რატომ იასპარეზეთ?

– შერმადინს და ცინცაძეს არ უთამაშიათ. მოგეხსენებათ, შერმადინმა ჩეხეთთან მატჩში ტუჩი გაიხეთქა და ნაკერები ადევს. თავის დაზღვევის მიზნით ის დავასვენეთ, ასევე დავასვენეთ გიორგი ცინცაძე, რომელმაც ფეხი ოდნავ აწუხებდა. სამაგიეროდ მეტი სათამაშო დრო მიეცათ ნაკრების ახალწვეულებს, რომლებმაც თავი კარგად წარმოაჩინეს. რიჩარდ მათიაშვილმა სულაც 11 ქულა დააგროვა. ახალგაზრდები თანდათან ეჩვევიან ნაკრებს და ეს სამომავლოდ ნაყოფს გამოიღებს. მათ ადაპტაცია არ გაუჭირდებათ.

– რას იტყვით ნაკრების ორ ნატურალიზებულ კალათბურთელზე? რომელმა ითამაშა და რა შთაბეჭდილება დატოვეს მათ ზოგადად?

– რადგან ცინცაძე არ თამაშობდა, განაცხადში ორივე ამერიკელი შევიყვანეთ და მათ მონაცვლეობით ვათამაშებდით. ჯეიკობ პულენი და კორი ფიშერი კარგი კალათბურთელები არიან, მათ გუნდთან შეთამაშება არ გასჭირვებიათ და ეს პრობლემა არ გვაწუხებს. ხოლო ის, თუ რომელი ითამაშებს ნაკრებში, თბილისის ტურნირისა და გერმანიაში ჩასატარებელი საკონტროლო მატჩის შემდეგ გაირკვევა.

– ნაკრებში ახლა 14 კალათბურთელია. როდის შეგემატებათ ზაზა ფაჩულია და რამდენი კანდიდატით გააგრძელებთ შეკრებას?

– ზაზა გუნდს თბილისში შეუერთდება. ნაკრებს ჯერჯერობით არავინ არ ტოვებს. 15 კალათბურთელით გავაგრძელებთ შეკრებას და სავარაუდოდ, ოფიციალური მატჩების დაწყებამდე გამოცხადდება ძირითადი 12 კალათბურთელის ვინაობა. შესაძლოა, ეს გერმანიაში წასვლამდეც გაირკეს.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## შედეგები

### ფეხბურთი

**გერმანია. ლიგის თასი**

**ფინალი**

დორტმუნდი–ვერდერი ........ 3:3(4:5პ)

**მე-3 ადგილისთვის**

ჰამბურგი–ბაიერნი ........ 0:1

**მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი–ალენი ........ 1:4

ზანდჰაუზენი–ფრანკფურტი ........ 1:1

ბრაუნშვაიგი–კიოლნი ........ 1:0

**ჰოლანდია. სუპერთასი**

აიაქსი–პსვ ........ 2:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრ.სოვეტოვი–ყუბანი ........ 2:1

ანჟი–ამკარი ........ 1:0

დინამო–სპარტაკი ........ 0:4

***სპარტაკელთა მე–3 გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა***

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2.ზენიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| 3.ანჟი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| 4.კრასნოდარი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| 5.ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 6.კრ.სოვეტოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 7.ტერეკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:6 | 4 |
| 8.ალანია | 3 | 1 | 0 | 2 | 7:5 | 3 |
| 9.მორდოვია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| 10.რუბინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 11.ვოლგა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 12.ამკარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 13.ყუბანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 14.ცსკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| 15.როსტოვი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 16.დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი იუნ–ჰიბერნიანი ........ 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი–ლუცერნი ........ 2:1

ციურიხი–ლოზანა ........ 4:0

სერვეტი–იანგ ბოიზი ........ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი–აუსტრია ........ 0:3

რიდი–ინსბრუკი ........ 2:0

ადმირა–ნოიშტადი ........ 4:0

**ბელგია. პროლიგა**

ვარეგემი–გენტი ........ 3:1

ლეუვენი–გენკი ........ 2:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო–ტეპლიცე ........ 1:1

ბოლესლავი–ბუდეიოვიცე ........ 3:2

სიგმა–სლოვაცკო ........ 2:0

სპარტა–პრჟიბრჟამი ........ 2:1

იიჰლავა–პლზენი ........ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(ზ)–ილიჩევეცი ........ 0:3

ვორსკლა–ჩერნომორეცი ........ 0:1

არსენალი–დნიპრო ........ 1:1

***არსენალის გოლი სანდრო კობახიძემ გაიტანა***

მეტალურგი(დ)–მეტალისტი ........ 2:2

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი–რანდერსი ........ 2:1

ორხუსი–ბრონდბიუ ........ 3:1

***ორხუსის პირველი გოლი დავით დევდარიანმა გაიტანა***

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო–ჰეკენი ........ 0:0

აიკი–კალმარი ........ 1:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ულფი–ლილესტრიომი ........ 0:1

ოდ გრენლანდი–ვიკინგი ........ 1:4

ფრედრიკსტადი–ტრომსო ........ 2:0

რუსენბორგი–ჰაუგესუნი ........ 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო–ჰონკა ........ 0:2

ჰაკა–ინტერი ........ 0:2

იარო–ჯჯკ ........ 0:3

**აშშ. მლს**

პორტლენდი–დალასი ........ 1:1

სიეტლი–ლოს ანჯელესი ........ 4:0

**ბრაზილია. სერია ა**

ვასკუ–კორინთიანსი ........ 0:0

გრემიო–ბაია ........ 3:1

კურიტიბა–ფლუმინენსე ........ 0:2

სან პაულუ–რესიფე ........ 1:0

კრუზეირო–პონტე პრეტა ........ 1:2

ნაუტიკუ–სანტოსი ........ 3:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

გოდოი–ოლ ბოიზი ........ 1:1

სან ლორენცო–სან მარტინი ........ 2:1

რივერ პლეიტი–ბელგრანო ........ 1:2

### კალათბურთი

**ოლიმპიური თამაშები**

**ქალები**

საფრანგეთი–რუსეთი ........ 65:54

ანგოლა–ჩეხეთი ........ 47:82

კანადა–ავსტრალია ........ 63:72

აშშ–ჩინეთი ........ 114:66

თურქეთი–ხორვატია ........ 70:65

დ.ბრიტანეთი–ბრაზილია ........ 66:78

**ამხანაგური მატჩები**

**კაცები**

ჩერნოგორია–ლატვია ........ 93:82

სლოვენია–სერბეთი ........ 75:80

პოლონეთი–იტალია ........ 66:62

ბოსნია–ხორვატია ........ 78:68

### წყალბურთი

**ოლიმპიური თამაშები**

**ქალები**

რუსეთი–უნგრეთი ........ 10:11

ავსტრალია–ჩინეთი ........ 14:14(6:4დდ)

აშშ–იტალია ........ 9:6

ესპანეთი–დ.ბრიტანეთი ........ 9:7

### ფრენბურთი

**ქალები**

დომინიკების რესპ.–ალჟირი ........ 3:0

დ.ბრიტანეთი–იაპონია ........ 0:3

რუსეთი–იტალია ........ 3:2

ჩინეთი–ს.კორეა ........ 3:2

აშშ–თურქეთი ........ 3:0

ბრაზილია–სერბეთი ........ 3:0

### ხელბურთი

**ოლიმპიური თამაშები**

**ქალები**

შვედეთი–ს.კორეა ........ 28:32

ბრაზილია–ანგოლა ........ 29:26

ჩერნოგორია–რუსეთი ........ 25:25

ხორვატია–დ.ბრიტანეთი ........ 37:14

ნორვეგია–ესპანეთი ........ 20:25

დანია–საფრანგეთი ........ 24:30

# „ქალ მაიმუნს“ სამშობლოში დააბრუნებენ

„ქალი-მაიმუნის“ იულია პასტრანას ნეშტს, რომელიც მე-19 საუკუნეში ევროპაში გამართულ არაერთ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, ნორვეგიის ხელისუფლები სამშობლოში, მექსიკაში დააბრუნებენ.



იულია პასტრანა 1834 წელს მექსიკაში დაიბადა. იგი ჰიპერტრიქოზით, ჭარბთმიანობით იყო ავად, თმით ჰქონდა დაფარული სახე და ტანი. გარდა ამისა, მას მასიური ყბაც ჰქონდა. სწორედ ამიტომ მას მეტსახელად „ქალი მაიმუნი უწოდეს“

1950-იან წლებში იგი მექსიკაში ჩასულმა ამერიკელებმა შეამჩნიეს და მიიჩნიეს, რომ მისი საშუალებით ფულის გაკეთება იყო შესაძლებელი. გოგონა აშშ-ში გამგზავრებას დათანხმდა, სადაც სხვადასხვა შოუებში მონაწილეობდა. მოგვიანებით იგი მენეჯერმა თეოდორ ლენტმა გამოისყიდა და ევროპაში გასტროლებზე წაიყანა. შემდეგ ლენტმა იგი ცოლადაც მოიყვანა.

ასტრანა 1960 წელს მოსკოვში გარდაიცვალა, მშობიარობით გამოწვეული გართულებების შედეგად. ბავშვი დედას ჰგავდა და დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. ლენტმა მოსკოვის უნივერსიტეტს დედა-შვილის მუმიფიცირების თხოვნით მიმართა და გამოფენები გააგრძელა, თუმცა უფრო ნაკლები კომერციული წარმატებით და ამის გამო პასტრანას მუმიამ რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა.

იულია პასტრანას მუმია ნორვეგიაში 1920-იან წლებში მოხვდა, 1970-იან წლებში იგი ოსლოს სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში მოხვდა, 1997 წლიდან კი უნივერსიტეტის ანატომიის კათედრაზე აღმოჩნდა. 1994 წელს ნორვეგიის პარლამენტმა ქალის დაკრძალვის რეკომენდაცია გასცა, მაგრამ მეცნიერების სამინისტრომ სამეცნიერო გამოკვლევების მიზნით ნეშტის შენარჩულების გადაწყვეტილება მიიღო.

2012 წეს ნორვეგიის ეროვნულმა კვლევითმა კომისიამ პასტრანას ნეშტის სამშობლოში დაბრუნების რეკომენდაცია გასცა. ის, თუ როდის დააბრუნებენ პასტრანას მექსიკაში, ჯერჯერობით უცნობია.

გ. თ.

# გიორგი კიკნაძე: ზენიტმა ყენია დაკარგა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ტად არ ვიცი, რადგან ამ თემაზე ყენიასთან ჯერ არ მისაუბრია. სადღეისოდ, ის მშვენიერ განწყობაზეა. ამბობს, რომ ჯერ სიტუაციაში ბოლომდე უნდა გაერკვეს და თავის მოსაზრებას შემდეგ დააფიქსირებს. მას წინადადებები ჰოლანდიიდან და ბელგიიდან აქვს. ამ ეტაპზე, ლევანი თავისუფალი აგენტია. შემოთავაზებები რუსეთიდან? მას შემდეგ, რაც „ზენიტმა“ გააკეთა, ჯერჯერობით, რუსული კლუბების წინადადებები არ განიხილება. ვფიქრობ, „ზენიტმა“ ამ დონის ფეხბურთელთან კონტრაქტის არგაფორმებით ბევრი დაკარგა, – განაცხადა კიკნაძემ.

შეგახსენებთ, რომ ყენია სადღეისოდ, ყენია ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩისთვის ემზადება.

# ზესტაფონი გერმანელით ივსება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფალი აგენტი გახდა.

„ზესტაფონმა“, საკონტროლო მატჩიც გამართა და „გაგრა“ 6:1 დაამარცხა.

მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა დიდი სათამაშო უპირატესობით წარიმართა, რამაც სათანადო ასახვა ანგარიშშიც ჰპოვა – ზესტაფონელებმა ტაიმი 3-0 მოიგეს. უკვე მე-4 წუთზე ანგარიში შოთა ბაბუნაშვილმა გახსნა, ამის შემდეგ კი ორჯერ (მე-9 და 40-ე წუთებზე) თავი იომი ოვონიკოკომ გამოიჩინა.

მეორე ნახევრის დებიუტში გაგრელები გააქტიურდნენ კი ჯონი ჯერემიას გოლის წყალობით ანგარიშის შემცირება მოახერხეს. ტაიმის ასეთი დასაწყისის მიუხედავად, საბოლოო ჯამში ბრძოლა მაინც ვერ შედგა, რადგანაც „ზესტაფონმა“ კიდევ სამი გოლით დაამწუხრა სტუმრები – გოლები მიშიკო სარდალიშვილის (74-ე წუთი), გურამ სამუშიას (75-ე წუთი) და ოთარ კვერნაძის (82-ე წუთი) ანგარიშზეა. საბოლოოდ, ზესტაფონელებმა დიდი ანგარიშით 6-1 გაიმარჯვეს.

ზესტაფონი: რ.კვასხვაძე (მამალაძე 46), თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, კაჭკაჭიშვილი, რაჟამაშვილი (კობახიძე 46), მენთეშაშვილი (გორგიაშვილი 46), აფციაური (სარდალიშვილი 46), ბაბუნაშვილი (შარიქაძე 46), ჭანტურიშვილი (სამუშია 46), დ.მუჯირი (გუგუჩია 46), ოვონიკოკო (კვერნაძე 46)

გაგრა: ბეგაშვილი, ფალავანდიშვილი, გადრანი, ჯგერენაია, ხოჯაშვილი, ხუციძე, ზვიადაძე, ივანიშვილი, ჭკუასელი, ჯერემია, ერისთავი.

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის განახლებამდე ქუთაისის „ტორპედომ“ ბოლო ამხანაგური მატჩი საჩხერის „ჩიხურასთან“ ჩაატარა და 5:2 გაიმარჯვა.

თავდაპირველად საჩხერლები 2:0 დაწინაურდნენ. ცენტრალური მცველების შეცდომით ჯერ დავით კირკიტაძემ იხეირა, შემდეგ ბესიკ დეკანოიძემ.

თუმცა „ტორპედოც“ გააქტიურდა და პირველ ტაიმი გიორგი ბერიაშვილის, ელგუჯა გრიგალაშვილისა და ნიკა საბანაძის გოლებით 3:2 მოიგო.

შეტევები ქუთაისლებს არც შემდეგში შეუწყვეტიათ და გიორგი კუხიანიძისა და თეიმურაზ მარკოზაშვილის გოლებით დიდი ანგარიშით იმარჯვა.

გუნდებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს:

ტორპედო: მიგინეიშვილი (ქვილითაია 46), რიგვავა (იოსელიანი 67), კვახაძე (ტაბატაძე 67), ზ.ჭელიძე (სანდოხაძე 67), გ.გურული (შერგელაშვილი 67), გ.დათუნაიშვილი (დოლიძე 46), ე.გრიგალაშვილი (მარკოზაშვილი 67), ფირცხალავა (გიგაური 46), ვ.ბოლქვაძე (კუხიანიძე 46), საბანაძე (ფანცულაია 46), ბერიაშვილი (ტუღუში 46)

ჩიხურა: სომხიშვილი (მწყერაშვილი 68), ოდიკაძე (მურველაშვილი 36), ლ.ჭელიძე (ბერიანიძე 46), საჯაია (გუშარაშვილი 46), მაისურაძე (ბაკურაძე 62), ლომაშვილი (ქიმაძე 62), ძამსაშვილი (ჩიკვაიძე 62), კირკიტაძე, შარაშენიძე (დილმელაშვილი 46), ნ.კვასხვაძე (მუმლაძე 62), დეკანოიძე (გოცირიძე 46).

# დავით დეფიმ აუდიო კვადროფონიული ალბომი ჩაწერა

ეკა ირემაშვილი

**პოეტმა და რომანისტმა დავით დეფიმ აუდიო კვადროფონიული ალბომი ჩაწერა, რომელიც ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში წარმოადგინა. „დაფიონი სუპერნოვა დომინე“ _ ასე ეწოდება ალბომს, რომელშიც დავით დეფის პოეზია გაერთიანებული.**



საკუთარი პოეზიის წარდგენა პოეტმა სწორედ ახალგაზრდებისთვის დაგეგმა და 5 აგვისტოს ღამის 12 საათზე ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში დავით დეფის პოეზიის ღამე გაიმართა. აუდიო აპარატურაზე გაჟღერდა დეფის პოეზიის ულტრა თანამედროვე აუდიო ალბომი „დაფიონი სუპერნოვა დომინე“. ღონისძიებაზე მიწვეული სტუმრებისა და სტუდენტებისთვის, არტისტმა ეს ალბომი ამა წლის აპრილშიც გააჟღერა აბასთუმნის ობსერვატორიაში. ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში კი პერფორმანსი ორასზე მეტი სტუდენტის თვალწინ იქნა წარმოდგენილი.

დეფის პოეზიის აუდიო ალბომს „დაფიონი სუპერნოვა დომინე“ ამერიკელმა და ევროპელმა კრიტიკოსებმა უკვე უწოდეს, პირველი ხმა თანამედროვე მსოფლიო პოეზიაში. ალბომი 45 წუთს გრძელდება. მასში შესულია 16 ტრეკი. მთლიანად ალბომი კი კვადროფონიული მასტერინგითაა ჩაწერილი.

პირველად ეს ალბომი გაჟღერდა ნიუ იორკში, 2011 წელს, მსოფლიო პენ ლაივზე, ლორი ანდერსონთან და სალმან რუშდისთან ერთად. ამერიკული პრესა დეფის პოეზიასა და პროზას მომაჯადოებელსა და გასაოცარს უწოდებს.

დავით დეფი მკითხველის ყურადღებას არა მარტო თავისი პოეზიით, არამედ თავისი რომანებითაც იპყრობს. მისი შემოქმედება უკვე კარგად არის ცნობილი საზღვარაგრეთაც. გადაწყდა, რომ დავით დეფის რომანებს ბრაზილიაში გამოსცემენ, ქართველი რომანისტის ნაწარმოებებით ბრაზილიური გამოცემა დაინტერესდა. ბრაზილის წარმატებულმა გამომცემლობამ „ლუმე ედიტორ“ ქართველი შემოქმედთან კონტრაქტი სამ რომანზე უკვე გააფორმა. ეს უიშვიათესი შემთხვევაა, როცა ავტორთან ასეთი ტიპის კონტრაქტი ფორმდება, სადაც განხილულია, ერთი თვის ინტერვალებით ზედიზედ სამი რომანის გამოქვეყნება. გამომცემლობის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ დავით დეფის სამივე ნაწარმოები, მსოფლიო მნიშვნელობის უახლესი ლიტერატურული მოვლენაა და დეფის სამ რომანზე, ამიტომაც გაფორმდა კონტრაქტის უპრეცედენტო ვარიანტი. კონტრაქტის მიხედვით დეფის სამი ნაწარმოების ზედიზედ გამოცემაა გათვალისწინებული რიო დე ჟანეიროსა და სან პაოლოში. დავით დეფის შემოქმედებიდან ბრაზილიურმა გამოცემამ არჩევანი სამ რომანზე შეაჩერა – „ბაღები და ეშმაკთა სამკვიდრო“ (რომანი რუსეთ საქართველოს ომზე), „დილა სასწაულების წინ“ და „სიტყვები სიტყვები სიტყვები“. ქართველ მწერალსა და ბრაზილიურ გამოცემას შორის გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, სამივე წიგნის გამოცემა 2013 წელს იგეგმება და პორტუგალიურ ენაზე მათ თარგმანს ბრაზილიის წამყვანი ლინგვისტები და მთარგმნელები ახორციელებენ. დავით დეფის შემოქმედებით აქტიურად არიან დაინტერესებული ევროპის ქვეყნებშიც. ქართველ მწერალთან და პოეტთან ინტერვიუ ნიუ-იორკის უდიდესმა ლიტერატურულმა ვებ-ჟურნალმა „უაილდ რივერ რევიუ“ გამოაქვეყნა, ასევე მისი პოეზია და ვიდეო – ლექსი „21 რიტუალური კოცნა“ და „მთვარის მზერისას რომ გამახსენდა ზი რავენ“. ინტერვიუ ნიუ-იორკში, მსოფლიო პენ ცენტრში ჩაიწერა, სადაც დეფი გასულ წელს სალმან რუშდის მიერ იქნა მიწვეული და მსოფლიო პოეზიის ანტერბერგის ცენტრში, ლორი ანდერსონთან ერთად პოეზიის წარმოდგენა გამართა. ასევე გაიმართა მისი რომანების გარჩევა და ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება. დავით დეფი 2012 წლის ევროპის საუკეთესო ნაწარმოების ავტორიცაა. ამ ლიტერატურულ ვებ-ჟურნალს წელიწადში ათი მილიონი მნახველი ჰყავს, ხოლო დეფისგან ინტერვიუ ჩაწერეს ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტებმა კიმბერლი ნაგიმ და ჯოი სტოქმა, რომლებიც ასევე თანამშრომლობენ ორჰან ფამუკთან, იაკაბ ლასლო ორსოსთან, სალმან რუშდისთან, ამელი ნოთომთან და ბევრ ცნობილ მწერალთან თუ პოეტთან. ყველას ინტერვიუები ასევე ამ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. დავით დეფისთან აღებულ ინტერვიუში საუბარია, დეფის მსოფლიო წარმატებაზე, მის პოეზიაზე და პროზაზე, საბჭოეთისა და შევარდნაძის რეჟიმის კრახზე, ვარდების რევოლუციაზე, თანამედროვე ლიტერატურის ტენდენციებზე და უკვე საკმაოდ პოზიტიურადაა შეფასებული ქართველი პოეტისა და რომანისტის მთლიანი შემოქმედება.

ქართველი რომანისტმა და პოეტმა თანამშრომლობა ეროვნულ არქივთანაც დაგეგმა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ფონოსტუდია გაიხსნა, სადაც პროფესიონალურ დონეზე აუდიოჩანაწერების შექმნა გახდა შესაძლებელი. ახალი პროექტის პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ ამ პროექტის ფარგლებში ეროვნული არქივის აუდიოსტუდიაში თანამედროვე მწერლები საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ და მათი ფონოჩანაწერები არქივში, ათწლეულების წინათ შექმნილ ქართველი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აუდიოჩანაწერებთან ერთად შეინახება. ფონოარქივის სიმდიდრეს წარმოადგენს აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სხვათა ფონოჩანაწერები, რომელშიც ისინი საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობენ. ახალი პროექტის მიზანია, მომავალ თაობებს შემოუნახოს თანამედროვე ავტორების ჩანაწერები, რომლებიც წლებთან ერთად დიდ მნიშვნელობას შეიძენს. ამ პროექტის პირველი მონაწილე აღმოჩნდა მწერალი დავით დეფი, რომელმაც თავისი შემოქმედების წაკითხვა და ეროვნულ არქივში არსებული თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ფონოსტუდიის არქივში მომავალი თაობებისთვის შენახვა გადაწყვიტა.

დავით დეფის ნაწარმოები მოხვდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემულ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგიაშიც. კრებული ამერიკულ-ბრიტანული გამომცემლობის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა. გამოცემის ოფიციალურ პრეზენტაციას ვაშინგტონში კონგრესის ბიბლიოთეკამ უკვე უმასპინძლა. წელსვე იგეგმება კრებულის პრეზენტაციები ლონდონსა და დუბლინში. ანთოლოგიაში შესულია 20 თანამედროვე ქართველი ავტორის ნაწარმოებების თარგმანები – დავით დეფი, გურამ დოჩანაშვილი, არჩილ ქიქოძე, რეზო გაბრიაძე, ნუგზარ შატაიძე, აკა მორჩილაძე, ბესიკ ხარანაული, ლაშა ბუღაძე, ზაზა ბურჭულაძე, მაკა მიქელაძე, მარი ბექაური, ზაალ სამადაშვილი, ნინო ტეფნაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, ზურაბ ლეჟავა, კოტე ჯანდიერი, დავით ქართველიშვილი, მამუკა ხერხეულიძე ირაკლი ჯავახაძე. აღნიშნული კრებული გავრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის მაღაზიათა ქსელში და ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის.

ახლო მომავალში სამინისტრო არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს ამერიკულ გამომცემლობასთან, თანამედროვე ქართველი ავტორების თარგმანების გამოცემათა სერია კი უფრო მრავალფეროვან ხასიათს მიიღებს. თანამედროვე ქართველი მწერლების ინგლისურენოვანი კრებული კი მალე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში გაიყიდება. პრეზენტაციას ესწრებოდნენ 17-მდე ქვეყნის გამომცემლები, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტი ტობიას ვოსი, კრებულში შესული ქართველი ავტორების უმრავლესობა და სპეციალურად ამ პრეზენტაციის სტუმრები. დავიდ დეფისთვის დიდი პატივია ამერიკულ გამომცემლობაში მოხვედრა და ფიქრობს, რომ არა საბჭოთა კავშირი, ისინი ამ გზას აქამდეც გაივლიდნენ. თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიას სპეციალური რეპორტაჟი მიეძღვნა გაზეთ ინდეფერენტის ვებ გვერდზეც, რომლის მთარგმნელი და რედაქტორიც ელიზაბეტ ჰეივეია. მისი თქმით, დავით დეფის მოთხრობაში სიუჟეტი ერთ პატარა ოთახში ვითარდება და ამბავი დანაშაულის გრძნობით შეპყრობილი სკამის მიერ არის მოთხრობილი.

დავით დეფის თქმით, მისთვის უდიდესი პასუხისმგელობაა, რომ მის შემოქმედებას ასეთი ინტენსიურობით ეცნობიან მკითხველები, რაც მას აძლევს სტიმულს, რომ კიდევ უფრო მეტი და მეტი იმუშაოს, ამიტომაც მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები დავით დეფისგან არაერთ სიურპრიზს უნდა ელოდონ.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 2. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 3. უქნარა, უნიათო ადამიანი; 4. უძველესი აკადემია კახეთში; 6. მსოფლმხედველობა, რწმენა; 9. მთავარი მოედანი მილანში; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. აგარაკი თბილისის მახლობლად; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ციხე-ქალაქი; 19. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 21. მე-17 საუკუნის იტალიელი მეცნიერი, ასტრონომი, ტელესკოპის გამომგონებელი; 22. ქართული იუმორისტული ჟურნალი.

**თარაზულად:** 5. შარვლის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ქალაქი ქვემო ქართლში; 8. სათამაშო სახლი, სამორინე; 10. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 12. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. მუზეუმი მადრიდში; 14. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 18. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება; 20. შაქრის ავადმყოფობია, დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 23. საჭმელი სოკო; 24. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 25. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 26. ესპანელი ფერმწერი; 27. სამშენებლო მასალა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კლიენტი; 3. იადონი; 8. არკადა; 10. პაშტეტი; 11. ოდეტა; 12. ნირვანა; 14. საირმე; 15. კრამერი; 16. დუბლი; 19. მილეტი; 20. ვიგვამი; 21. ვარანი.

**შვეულად:** 1. კომედიანტი; 2. ტატამი; 3. იმპერია; 4. ნეონი; 5. პროპანდი; 6. მასრა; 7. რაპორტი; 9. კატერი; 13. კეგლი; 17. ბანა; 18. პაი.

**სკანვორდის პასუხები:** 1. კორონა; 2. კაკოფონია; 3. „იზა“; 4. ინა; 5. კორეა; 6. აკირა; 7. პრიზი; 8. ოგასტა; 9. ტატრა; 10. „ტამანგო“; 11. ალათაუ; 12. არ; 13. პლანიმეტრია; 14. ლემა; 15. რეი; 16. კნაჭა; 17. ზომა; 18. ნო; 19. დი; 20. გირაგი; 21. ჭია; 22. კაზინო; 23. სკალა; 24. კაა; 25. მი; 26. სკამი; 27. არაკი; 28. ობოლაძე; 29. პანტა; 30. ელი; 31. პალმა; 32. ეტლი; 33. ანძა; 34. ისანი; 35. კარამელი.

სურათებზე: ემა ბანტონი; ფაბიენ ბარტეზი.

# ჩინეთმა ამერიკას „მოკეტვა“ სთხოვა

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი „უსიამოვნებების შექმნაში“ დაადანაშაულა.



რამდენიმე დღის წინ ჩინეთმა სამხრეთ ჩინეთის ზღვის ერთ-ერთ კუნძულ ვუდზე ქალაქ სანშას შექმნის შესახებ განაცხადა. ამ კუნძულზე პრეტენზიებს ფილიპინები და ვიეტნამიც გამოთქვამენ. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი განაცხადა, რომ „ჩინეთი რეგიონში დაძაბულობას ქმნის“.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკას ქვეყნის ტერიტორიური მთლიანობის დაცვის პატივისცემისკენ მოუწოდა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის გამოცემა „ჟენმინ ჟიბაომ“ კი ამერიკას სთხოვა „მოკეტოს“.

ჩინურმა მასმედიამ კი ვაშინგტონი ჩინეთისთვის უსიამოვნებების შექმნაში დაადანაშაულა, – იუწყება „ფრანს-პრესი“.

– ამერიკული მხარის განცხადებაში არეულია სწორი და არასწორი ფაქტები, მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, არასწორ სიგნალს იძლევა და შეუბრალებლად უნდა იქნას უარყოფილი, – წერს ჩინური მედია.

ამერიკის პოზიციის კრიტიკით გამოდიან სხვა ჩინური გამოცემებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თეთრი სახლი „ცივი ომის“ აზროვნებისგან ვერ გათავისუფლდა.

# წყნარ ოკეანეში კოკაინის დიდი პარტია დააკავეს

კოლუმბიისა და ამერიკის სპეცსამსახურებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად წყნარ ოკეანეში თითქმის ორი ტონა კოკაინის დაკავება შეძლეს, რომელიც ამერიკის შავი ბაზრისთვის იყო განკუთვნილი.

გემი, რომელიც პუნტოკოკოს აეროპორტიდან გამოვიდა და რომელსაც ოთხი კოლუმბიელი აცილებდა, საერთაშორისო წყლებში დააკავეს. სამხრეთამერიკული სააგენტოების ინფორმაციით, ამოღებული კოკაინი 65 მილიონი ღირებულებისაა.

2012 წელს კოლუმბიაში 35 ტონამდე ნარკოტიკის კონფისკაცია მოხდა.

კოკაინი ალკალოიდია, რომელიც მიიღება კოკაინის ხის ფოთლებისაგან. განეკუთვნება ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა ჯგუფს. ოფთალმოლოგიაში, ოტოლარინგოლოგიაში, უროლოგიასა და სტომატოლოგიაში ზედაპირული გაუტკივარებისათვის იყენებენ კოკაინის ფხვნილებსა და ხსნარს.

კოკაინი ძლიერ ტოქსიკურია, ნერვულ სისტემას ჯერ აღაგზნებს, შემდეგ კი თრგუნავს. მისი ხშირი ხმარებისას შეიძლება განვითარდეს კოკაინიზმი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ჰიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების 67-ე წლისთავს აღნიშნავენ

იაპონური მასმედიის ინფორმაციით, დაახლოებით 50 000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ჰიროსიმას მემორიალურ პარკშიგამართულ ცერემონიაში, რომელიც ჰიროსიმასა და ნაგასაკის თავზე ამერიკის მიერ ატომური ბომბის ჩამოგდების 67-ე წლისთავს მიეძღვნა.

ცერემონიაში მონაწილეობა ამერიკის პრეზიდენტის გარი ტრუმენის, რომელმაც ბომბის ჩამოგდებას მოაწერა ხელი, შვილიშვილმა 55 წლის კლიფტონ ტრუმენ დენიელმაც მიიღო.

ჰიროსიმას მემორიალურ პარკში დღეს 1000 ქაღალდის წეროს და 67 ფანრებს გაუშვებენ. ამ ტრადიციას საფუძველი იაპონელმა გოგონამ სადაკო სასაკიმ ჩაიყარა. სადაკო ატომური ბომბის ერთ-ერთი მსხვერპლია. მას „ატომური დაავადება“ ლეიკემია აღმოუჩინეს. საავადმყოფოში ჰოსპიტალიზირებულ სადაკოს მეგობარმა უთხრა, რომ ლეგენდის თანახმად, მას, ვინც 1000 ქაღალდის წეროს დაამზადებდა, ერთი სურვილი აუსრულდებოდა. სადაკომ 1000 ქაღალდის წეროს დამზადება ვერ მოასწრო. მის მემორიალურ ძეგლზე ასეთი წარწერაა: „ეს ჩვენი ტკივილია, ეს ჩვენი ყვირილია. მშვიდობა მთელ მსოფლიოს“.



ჰიროსიმას და ნაგასაკის ატომური დაბომბვა იყო იაპონიის წინააღმდეგ აშშ ბირთვული შეტევის მაგალითი მეორე მსოფლიო ომის დროს. 1945 წლის 6 აგვისტოს ბირთვული ბომბი სახელად „პატარა ბავშვი“ ჩამოგდებული იქნა ქალაქ ჰიროსიმაში, ხოლო სამი დღის შემდეგ მეორე ბომბი სახელად „მსუქანი კაცი“ ნაგასაკში.

მსხვერპლთა რაოდენობის ზუსტად დადგენას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს: ომისდროინდელი უზუსტო მონაცემები, ის გარემოება რომ მსხვერპლთა საერთო რაოდენობა ზოგადად საკმაოდ დიდი იყო და ისინი სხვადასხვა დროს გარდაიცვალნენ სხივური დაავადების შედეგად, აგრეთვე პოლიტიკური სპეკულაციები რომლის დროსაც მსხვერპლთა რიცხვს ხან აზვიადებდნენ ხან კი ამცირებდნენ.

მიჩნეულია რომ ბირთვული დაბომბვის და მასთან დაკავსირებული გარემოებების შედეგად ჰიროსიმაში 140 000 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 74 000 ნაგასაკიში. ორივე ქალაქში მსხვერპლთა უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობა იყო.

იაპონიის კაპიტულაციაში ამ დაბომბვის როლი და საერთოდ მეორე მსოფლიო ომის დრო ბირთვული იარაღის გამოყენების მართლზომიერება იყო და არის კამათის საგანი. აშშ-ში გავრცელებული შეხედულების თანახმად ბირთვული იარაღის გამოყენებამ ომის დასრულება დააჩქარა და ამგვარად იხსნა იმათი სიცოცხლე ვინც დაიღუპებოდა ომი რომ კიდევ დიდი ხნით გაგრძელებულიყო, კერძოდ-აშშ რომ შეჭრილიყო უშუალოდ იაპონიის ტერიტორიაზე. იაპონიაში კი მიიჩნევენ რომ დაბომბვა საჭირო არ იყო და შეგნებულად ასეთი საშინელი ძალის მიყენება მშვიდობიან მოსახლეობაზე უზნეობაა.

1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ გამოაცხადა კაპიტულაცია მოკავშირეთა წინაშე და ამით ოფიციალურად მეორე მსოფლიო ომი დასრულდა.

# სირიის პრეზიდენტმა გაქცეული პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა



სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რიიად ხიჯაბა თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

სამართალდამცველების ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის გათავისუფლების ბრძანებას პრეზიდენტმა მას შემდეგ მოაწერა ხელი, რაც მთავრობის ხელმძღვანელმა თავის ოჯახთან ერთად სირია დატოვა და იორდანიაში გაემგზავრა.

რიიად ჰიჯაბმა ქვეყნის დატოვების მიზეზად დამასაკოსა და ალეპოში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა და ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომი დაასახელა.

პრემიერ-მინისტრის გარდა, ქვეყნიდან გაიქცნენ მინისტრთა კაბინეტის 2 წევრი და 3 სამხედრო მაღალჩინოსანი. თუმცა, მათი სახელები და გვარები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

სირიაში კრიზისის დაწყებიდან 20 ათასი ადამიანი დაიღუპა. სამოქალაქო ომის ფონზე მმართველი რეჟიმის სულ უფრო მეტი წარმომადგენელი გადადის აჯანყებულთა მხარეს, ან გარბის ქვეყნიდან.

ასევე „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, სირიის სპეცსამსახურების სამი მაღალჩინოსანი ქვეყნიდან გაიქცა.

პოლიტიკური დაზვერვის საინფორმაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა იარაბ ალ-შარაამ, მისმა ძმამ მოჰამედ კანაანმა, რომელიც დაზვერვის ამავე დეპარტამენტში მუშაობდა და კიდევ ერთმა თანაშრომელმა თავი იორდანიას შეაფარეს. სააგენტოს ინფორმაციით, ძმები ალ-შარაები სირიის ვიცეპრემიერ ფარუკ ალ-შარაას კლანს განეკუთვნებიან.

გამოცემის ინფორმაციით, 5 აგვისტოს ქვეყანა დატოვა სირიის პირველმა კოსმონავტმა მუჰამედ ფარისმა და თურქეთში გადავიდა.

ამ ფონზე, სირიის სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში აფეთქება მოხდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, რომელსაც ბი-ბი-სი ეყრდნობა, მესამე სართულზე მომხდარი ეფეთქების შედეგად არიან დაღუპულები.

სირიის სახელმწიფო ტელევიზია განაგრძობს მაუწყებლობას.

# ისრაელისა და ეგვიპტის საზღვარზე თავდასხმის შედეგად 15 ეგვიპტელი პოლიციელი დაიღუპა

უცნობმა ამბოხებულთა ჯგუფმა, ისრაელისა და ეგვიპტის საზღვრის ჩრდილოეთით, ღაზას სექტორთან ახლოს, საკონტროლო გამშვებ პუნქტზე თავდასხმა განახორციელეს, რის შედეგად 15 ეგვიპტელი პოლიციელი დაიღუპა.

„„ბი-ბი-სის“ ცნობით, დაჭრილია შვიდი პოლიციელი.

ამბოხებულები, რომელთაც სახე ნიღბებით ჰქონდათ დაფარული, პოლიციელებს ავტომატური იარაღიდან ესროდნენ, რის შემდეგაც დაჯავშნული მანქანით მიიმალნენ.

ეგვიპტური მხარე თავდასხმაში ისლამურ სამხედრო დაჯგუფებებს ადანაშაულებს.

ზომა:

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ნაპოვნია ხუთი ადამიანის ცხედარი.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ინციდენტმა განამტკიცა ეჭვი, რომ ისლამისტი „ბოევიკები“ სინაის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ საზღვართან არიან გამაგრებულები. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეხუდ ბარაკმა ეგვიპტის ხელისუფლებას სინაის ნახევარკუნძულზე ტერორიზმის აღმოფხვრისკენ მოუწოდა.

მომხდართან დაკავშირებით ეგვიპტის ახალმა პრეზიდენტმა მუჰამედ მურსიმ სამხედრო საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. ბოლო ინფორმაციით, ნაპოვნია იმ ხუთი ადამიანის გვამი, რომლებიც ეგვიპტე-ისრაელის საზღვართან საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ.



საკონტროლო გამშვები პუნქტი რაფახი, რომელიც ეგვიპტეს ღაზას სექტორთან აკავშირებს, განუსაზღვრელი დროით დაიხურა.

# ნასა-ს კოსმოსურმა აპარატმა მარსიდან დედამიწაზე პირველი ფოტოები გამოგზავნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბარეობს, ყველაზე მაღალი მთაა მზის სისტემაში – მისი სიმაღლე თითქმის 28 ათასი მეტრი, ანუ 28 კილომეტრია.

დღე ღამის ხანგრძლივობა „წითელ პლანეტაზე“ თითქმის ისეთივეა, როგორც დედამიწაზე – 24 საათი და 39 წუთი. ყოველ 2 წელიწადსა 50 დღეში ხდება ისე, რომ მარსსა და დედამიწას შორის მანძილი 78 მილიონი კილომეტრია. თუმცა 15 ან 17 წელწადში ხდება ისეც, რომ ეს მანძილი 56 მილიონ კმ-მდე მცირდება.

2003 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს დროით შუაღამისას, მარსი ბოლო 60 000 წლის მანძილზე დედამიწას ყველაზე მეტად მიუახლოვდა: 55 758 006 კმ (0.372719 ა.ე.).

იქაურ ზამთარში ტემპერატურა -130 °ჩ -მდე ეცემა პოლუსებზე, ზაფხულში 0 °ჩ-დან 30 °ჩ-მდე მერყეობს ეკვატორზე.

2040 წლისთვის ამერიკელებს დაგეგმილი აქვთ ექსპედიცია, რომლის დროსაც პირველი ადამიანი დაეშვება მარსზე.

# რუსეთში ბერეზოვსკის დაკავებას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ



რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ბისნესმენი ბორის ბერეზოვსკის დაკავებასთან დაკავშირებით ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

„ნიუს.გე“ რუსეთის შსს-ს წარმომადგენელმა ოლეგ მელნიკოვმა ინფორმაციის დასაზუსტებლად რუსეთის უშიშროების სამსახურთან გადაამისამართა.

შეგახსენებთ, რომ „ფოგნიუს.გემ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა მოსკოვის ერთ-ერთ აეროპორტში, შაბათს, ღამე ბისნესმენი ბორის ბერეზოვსკი დააკავა. როგორც გამოცემა იუწყება, მას გარეგნობა გრიმის საშუალებით ჰქონდა შეცვლილი და ამ საშუალებით ცდილობდა არ მიექცია სამართალდამცავების ყურადღება.

როგორც ჟურნალისტებს უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა განუცხადა, უწყებამ ბერეზოვსკის ხაფანგი თავად დაუგო. კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ცნობილი ბიზნესმენი ალექსანდრ ლებედევი რუსეთში თავისი აეროფლოტის აქციებს ყიდდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბერეზოვსკი მოსკოვში სწორედ ამ აქციების შესაძენად ჩაფრინდა.

ბერეზოვსკი ემიგრაციაში დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა. რუსეთში იგი დაუსწრებლად გაასამართლეს. თავად ბიზნესმენი ამბობს, რომ მას რუსეთში პრობლემები ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ შეექმნა.

# TV პროგრამა

## სამშაბათი 7 აგვისტო

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ. ფილმი "ბარბი". **09.00** ანიმაციური ფილმი. **10.30** მხ. ფილმი **"შავწვერა"** **12.00, 16.00, 19.00, 02.30** მოამბე **13.00** არენა. ოლიმპიური დღიური. **13.40** **ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) **18.55** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი: საქართველო - ბელორუსი (პირდ.) **20.45** **ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) **21.00** არენა. ოლიმპიური დღიური. **21.40** **ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) **02.50** მხ. ფილმი **"ბოლო ცეკვა ჩემია"** (სუბტ.) **04.50** მხ. ფ. **"შეუსრულებელი მისია 2"** (15) (ტ. კრუზი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი "უძველესი დაკარგული ქალაქები" **1**-ნაწ. **16.00, 02.00** ოლიმპიური არენა. **16.40, 20.00, 01.00** **ოლიმპიადა 2012**. **02.30** მხ. ფ. **"ტრანსფორმერები"**

**08.00** ან. ფილმი "კუ ნინძების ახალი თავგადასავალი" **7**-სერ. **08.25** ან. ფილმი "ვინი პუხის ახალი თავგადასავალი" **7**-სერ. **09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, 05.00, 07.00** ქრონიკა. **09.10** სერ. **"გმირები 3"** **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი. **13.00** სერ. **"რომი"** **2**-სერ. **14.40** ქართ. სერ. **"მტვრის გემო"** **2**-სერ. **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** **2**-სერ. **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სპეციალური რეპორტაჟი. **00.00** დოკ. ფილმი "ცოტა რამ საქართველოს შესახებ". **01.00** მხ. ფილმი **"როკი 4"** **03.10** ყოფილი ცოლების კლუბი. **04.10** მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** **06.00** მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (შ. ტერონი)

**07.30** MTV CRIBS **08.00** MTV ROOM RAIDERS **08.30** MTV MY SUPER SWEET **09.00** MTV MADE **09.30** MTV LAGUNA BEACH **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ქარ. მხ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"**. **14.00** შერეკილება. **15.30** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** თქვენი შოუ **01.00** MTV PUNK'D **01.30** MTV Boyling Points **02.00** MTV True Life **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.20** სერ. **"ჯეკი და ლობიოს ხე"** **13.00** მხ. ფილმი **15.15** ან. ფილმი **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა"** **18.00** მხ. ფილმი. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **23.50** მხ. ფილმი **01.50** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 16.00** დოკ. ფილმი "სამოთე დედამიწაზე" **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **13.50** მუსიკა **15.15** დოკ. ფილმი "დედამიწის საგან ური" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **19.30** ანონსი. **19.35** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **23.00** დოკ. ფილმი "ისინი" **23.40** მხ. ფილმი **"ჩვენს მერე წარღვნაც ყოფილია"** **01.00** მხ. ფილმი **"ელექტრონულ ბინდში"**

**ერთსულოვნება** **08.30** მულტსერ. "კეროტის თავგადასავალი". **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05** საეკლესიო კალენდარი. **09.05** განთიადი. **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.15. 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.40, 21.25** ლექსით ქებათა ქება. **10.45** გუთნისდედა. **11.15** სალვთისმეტყველო საუბრებიყ **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** **1**-სერ. **12.20** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** დები ტრევისის საოცარი სახლი. **15.35** დოკ. ფ. "ველური ბნუება". **16.00** მხ. ფილმი **"საბრინა"**. **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.20** ტელეზღაპარი. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** ჩვენი ტრაპეზი. **19.30** დროის ჩანაწერები. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.30** საყმაწვილო ბიბლიურ ენციკლოპედია. **22.25** მგზავრები წუთისოფლისა. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფილმი "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" **7**-ნაწ. **23.40** მოკ. ფილმი **"ცაბუნია"**. **00.35** ერთსულოვნების სალონი. **01.30** კარაბადინი. **02.00** ძველი ჰანგები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 agvisto


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6597

ევრო —2,0152

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 32–31, ღამით — 18–22;
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26–33, ღამით — 21–22;
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25–26, ღამით — 11–16;

## ამინდის პროგნოზი 7 აგვისტოსთვის




## იუმორი



❖ ❖ ❖

ახალგაზრდა, მოხერხებული კლერკის საქმიანობით კმაყოფილი მენეჯერი მისი წარმომავლობით დაინტერესდა:

— საიდან ხართ?

— კანადიდან, მეძავებისა და ჰოკეისტების ქვეყნიდან.

— მე ცოლი მყავს კანადელი.

— მართლა? რომელ გუნდში თამაშობდა?

❖ ❖ ❖

— გეოგრაფიის გარდა, ყველა საგანში ორიანი გყავს, რატომ?

— გეოგრაფიას ჯერ არ გავუძახებივარ.

❖ ❖ ❖

— თქვენი ბინის გაქურდვის ბრალდებას მკურნალ ექიმს რატომ უყენებთ?

— მაგან მირჩია, დაწოლის წინ ძილის წამალი დალიე და ფანჯარა ღია დატოვეო...

❖ ❖ ❖

— საინტერესოა, რატომაა, რომ მაცივრიდან გამოღებული საჭმელი ღამით უფრო გემრიელია?

❖ ❖ ❖

— ძალიან გამხდარმა ბიჭმა უკვე იცის, თუ საით მიფრინავენ ჰელიუმით სავსე ბუშტები...

❖ ❖ ❖

— როგორ გავუნაწილო სამი ვარდი ორ საყვარელს ისე, რომ არც ერთს არ ეწყინოს?

— ერთი ცალი ცოლს მიუტანე...

❖ ❖ ❖

— ძველი ჩინური გამონათქვამი წავიკითხე — ზურგზე სძინავთ უმანკო ქალებს, მუცელზე — ცოდვილებს, მარჯვენაზე — დედოფლებს, მარცხენაზე — ბრძენ ქალებს. ერთი კვირაა საწოლში ჩიკორივით ვტრიალებ, ვერ გადამიწყვეტია...

❖ ❖ ❖

— ეჭვიანობა — დარწმუნებული ხარ, რომ მარტო შენ კი არ ღალატობ, შენც ღალატობ...

გ.თ.

## ნასა-ს კოსმოსურმა აპარატმა მარსიდან დედამიწაზე პირველი ფოტოები გამოგზავნა

ნასა-ს კოსმოსურმა აპარატმა „ცნობისმოყვარეობამ“ მარსიდან დედამიწაზე პირველი ფოტოები გამოგზავნა. პირველ სურათზე „წითელი პლანეტის“ ზედაპირის ის მონაკვეთი ჩანს, სადაც აპარატი დაჯდა. ფოტოები მასზე დამონტაჟებულმა დამხმარე კამერებმა გადაიღეს. ძირითადი კამერა ჯერ არ ჩართულა.

მეორე სურათზე თავად პლანეტის ჩრდილი ჩანს, მესამეზე კი იქვე განლაგებული მარსის კრატერი „ჰეილაა“ დაფიქსირებული.



კოსმოსური აპარატიდან გადმოცემული ინფორმაცია დედამიწამდე მარსის ორბიტაზე მოძრავი სადგურის „ოდისეის““ საშუალებით აღწევს.

ძირითადი კამერის ჩართვის შემდეგ შესაძლებელი გახდება უფრო მასშტაბური, ნატურალური ფერების მქონე გამოსახულების მიღება, ასევე ვიდეოფირების გადაღება.

მარსზე გაგზავნილი აპარატის ძირითად მიზანს პლანეტის გრუნტის ნიმუშების აღება წარმოადგენს. ამისათვის მასზე სპეციალური ბურღებია დამონტაჟებული.

მარსი მეოთხე პლანეტაა სიშორით მზის სისტემაში. მას რომაული ომის ღმერთის მარსის სახელი ჰქვია (არესი ბერძნულ მითოლოგიაში). მას მეტსახელად „წითელი პლანეტა“ ჰქვია დედამიწიდან, ღამის ცაზე, მისი შეფერილობის გამო. მას ორი თანამგზავრი ჰყავს — ფობოსი და დეიმოსი — მცირე და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე სხეულები, შესაძლოა მარსის გრავიტაციაში მოქცეული ასტეროიდები იყოს.

ჩინურ, კორეულ, იაპონურ და ვიეტნამურ კულტურებში პლანეტას მოიხსენიებენ როგორც ცეცხლოვან ვარსკვლავს, ძველი ჩინური ხუთი ელემენტის მითოლოგიურ ციკლზე დაყრდნობით.

პლანეტაზე თვეების განმავლობაში ქარიშხლები მძვინვარებს. პლანეტის ფერი მოწითალო, სისხლისფერია. ეს ფერი ძველ ბერძენთა და რომაელთა წარმოდგენაში ომთან და სისხლის ღვრასთან ასოცირდებოდა. სწორედ ამიტომ, ბერძნები და რომაელები ამ პლანეტას ომის ღმერთთან აიგივებდნენ. მარსზე დაშვების პირველი წარმატებული მისია, 1965 წელს მარინერ 4-მა განახორციელა, რომელიც 1964 წელს გაუშვეს დედამიწიდან.

პლანეტაზე არის წარმონაქმნები, რომლებიც მდინარის ამომშრალ კალაპოტს გვაგონებენ. ამ კალაპოტებში წყალი არ არის. პლანეტის ზედაპირზე უამრავი ჩამქრალი ვულკანის კერა და მეტეორიტული კრატერებიც შეინიშნება. მთა ოლიმპი, რიმელიც მარსზე მდე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## პირმშვენიერი მიშურა პოპულარობას იმატებს



ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის დაწყებამდეც ვწერდით, რომ მსოფლიო პრესამ ოლიმპიადის ყველაზე ლამაზ და სექსუალურ სპორტსმენად ხორვატი კალათბურთელი ქალი, 24 წლის ანტონია მიშურა დაასახელა. ხორვატი იმდენად მომხიბვლელია, რომ ლონდონში თუ მის გარეთ მისი სახელი აკერია პირზე.

თავად სპორტსმენიც აღიარებს, რომ ნამდვილად არ მოელოდა ასეთ პოპულარობას და დღემდე ვერ გამოდის ემოციური მდგომარეობიდან. ხორვატი კალათბურთელის თქმით, მასთან თანამშრომლობის სურვილი 30-ზე მეტმა მსოფლიოში ცნობილმა ფირმამ გამოთქვა და რეჟისორებმა ფილმებში გადაღებაც კი შესთავაზეს.

აღსანიშნავია, რომ ანტონია მიშურა ყველაზე ლამაზ სპორტსმენად სამი წლის წინ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებზეც დაასახელეს, მაგრამ მაშინდელ აღიარებას ასეთი რეზონანსი და აჟიოტაჟი არ მოჰყოლია.

ყველაფრის მიუხედავად, ანტონია ამბობს, რომ კალათბურთის თამაშს ყოველთვის დიდი სერიოზულობით მოეკიდება და მისთვის სპორტი მეორეხარისხოვანი არასოდეს გახდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## .ღტჯფვ უფბსღფჯბცობყტს=

fcnhjghjuyjp & ფეძსნჯცსებც

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — საქმე გაქვთ, არც უფულობას უჩივით. **ტყუპები** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კირჩხიბი** — სიყვარულს იპოვით, გახარებული ხართ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** — დამშვიდდით, ნუ აზვიადებთ, საქმე არც ისე ცუდად არის. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **მერწყული** — შედით სხვის მდგომარეობაში, იყავით მიმტევებელი. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ.

უბცეჰღტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

## ჰჰჯცღჯჰლბ ფ

**შვეულად:** 1. ქვით ნაგები ღობე; 2. მუსულმან მამაკაცთა თავსაბურველი; 3. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 5. მასობრივი სპორტული სირბილი;
6. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. მოხეტიალე ცირკი; 16. მარადმწვანე, ტროპიკული, ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 4. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი; 7. თაღლითი ბანქოს თამაშში; 9. „ფორმულა-1“-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 11. ისრაელის პარლამენტი; 12. ხევსურული ტანსაცმელი; 13. უნივერსიტეტი მადრიდში; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნაერთი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## ნატალი პორტმანი გათხოვდა



ჰოლივუდის ვარსკვლავი, 31 წლის ნატალი პორტმანი ცოლად გაჰყვა ქორეოგრაფ ბენჯამინ მილპიეს. გასული წლის 14 ივლისს წყვილს ვაჟი, ალეფი შეეძინა.

საქორწინო ცერემონიალი კალიფორნიაში, სანაპიროზე მდებარე ბიგ სიურში გაიმართა, ცნობისმოყვარეებისაგან მოშორებით. როგორც ცნობილია, ლოს ანჯელესისაგან დაღლილი ნატალი პორტმანი სწორედ ბიგ სიურს აფარებს ხოლმე თავს.

მათი საქორწინო ცერემონიალი ებრაული ტრადიციის თანახმად გაიმართა. ცერემონიალი თითქმის სრულ სიბნელეში წარიმართა და მას 60-მდე ადამიანი ესწრებოდა, ძირითადად ნათესავები და ახლობლები, ადამიანები, ვისაც ახალდაქორწინებულებთან მიწვევის გარეშე შეუძლია სტუმრობა.

სავარაუდოდ, ქორწილის ოფიციალური მისაწვევები საერთოდ არ გაუგზავნიათ. ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე კი პატარძლის ერთ-ერთმა ახლობელმა განაცხადა, რომ ნატალი პორტმანი არც საქორწინო კაბის შეძენას აპირებდა.

სტუმრებს შორის იყო ივანკა ტრამპიც, მილიარდერ დონალდ ტრამპის ქალიშვილიც, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩარლზ კუშნერის ფინანსური იმპერიის მემკვიდრეს, ჯარედს მისთხოვდა. თვითერში, თავის მინიბლოგში ივანკამ განათავსა ფოტოსურათი, რომელზეც იგი საკმაოდ მოკრძალებულ ტანისამოსშია გამოწყობილი. კომენტარის თანახმად, ეს ფოტო პორტმანის ქორწინების დროს არის გადაღებული.

ბენჯამინ მილპიესა და ნატალი პორტმანის ურთიერთობა მხატვრული ფილის „შავი გედის“ გადაღებების დროს დაიწყო. ამ ფილმში ბენჯამინი გარდა იმისა, რომ ცეკვებს დგამდა, ნატალი პორტმანის პარტნიორიც იყო ცეკვების დროს.

ამ ფილმში შესრულებულმა როლმა პორტმანს წლის საუკეთესო მსახიობის ოსკარი მოუტანა.

ნატალი პორტმანს ხშირად „ჰოლივუდის მარადიულ პატარძალს“ უწოდებდნენ. ბულვარულმა პრესამ იგი არაერთხელ გაათხოვა. უკანასკნელად მისი ქორწინების არაზუსტი ინფორმაცია 2012 წლის თებერვალში გავრცელდა.

გ. თ.

## აფხაზეთის კაპელა კონცერტებს იტალიაში გამართავს

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა იტალიაში კონცერტებს მართავს. ღონისძიებები ასოციაციის „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ და მისი პრეზიდენტის გიული ალასანიას ინიციატივით იმართება. აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა იტალიაში ფესტივალ „ჩვენებურების“ ფარგლებში გაემგზავრა და კონცერტებსაც ჩაატარებს.

პროექტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და იტალიის ქართული დიასპორის მხარდაჭერით ხორციელდება. ფესტივალის ფარგლებში კონცერტები დაგეგმილია რომში და კოლიბრიაში. ფესტივალზე შესრულდება თანამედროვე საგუნდო მუსიკისა და ქართული ფოლკლორის გამორჩეული ნაწარმოებები, როგორც ევროპელი მსმენელისთვის, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებისათვის.



აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები კი უკრაინაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში იღებენ მონაწილეობას. პროექტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და საქართველოში უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება. აფხაზეთიდან დევნილი 12-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდები ბავშვთა მე-11 საერთაშორისო ფესტივალში „მოდით შევცვალოთ სამყარო უკეთესობისკენ“ მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც უკრაინა-

გაგრძელება მე-8 გვერდზე